სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 30 ოქტომბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული უნდა გამოგზავნონ: ... пр. 199. Редакція „Эртоба"... გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე, რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспекта № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 233 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების № 233

სოსო ჩიტოშვილი, იოსებ თანდილაშვილი და კოლა სესიაშვილი დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 27 ოქტომბერს გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი

**კოლა კრისტესიას ძე ბუთლიაშვილი.**

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, 31 ოქტომბერს, დილის 10 საათზე (ცხრამეტ თებერვლის ქ. № 66). მიასვენებენ ანჩისხატის ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი 30 ოქტომბერს საღ. 5 საათ. (3—2)

---

გულდათუთქული მეუღლე ტერეზა სამსონაძის ასული, შვილი პატარა შარლოტა, მამა ნიკო, ძმა დიომიდე, აცნობებენ ნათესავთ და მეგობართ რომ დღეს 30 ოქტომბერს (ახ. სტ.) შესრულდა ორი წელი, პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტი

**ვანო (ვანიჩკა) ნიკოს ძე იმნაიშვილის**

გარდაცვალებისა. (1—1)

---

დიდად დამწუხრებულნი ლევანუხუ, პაპუ და ცუნუ ჟორდანიები, გოგოლა გოთუასი და ვერა ჟორდანიასი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველი მეუღლის, მეორენი დედის და უკანასკნელნი სიდედრის და ბებიის

**სეო ჟორდანიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 31 ღვინობისთვეს, ქ. ლანჩხუთში, წმ. გიორგის ეკლესიაში.

---

ღრმათ დამწუხრებულნი მშობლები ალექსი და ციცი, მეუღლე ნინა უგრეხელიძეები, სიძე კოწია დარახველიძე, დაი ცაცა დარახველიძისა, სიმამრი ალექსანდრე, ცოლისძმები ვლადიმერ და ლავრენტი სანაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

**ვასილ ალექსის ძე უგრეხელიძე.**

გამოსვენების დღე ცალკე გამოცხადდება. შერმეტევის ქ № 37.

---

## ზავის პერსპექტივები

ერთი დებულება წამოაყენა საშინელი მსოფლიო ომის გაჩაღების წინ სოც.-დემ. ფრაქციამ მაშინდელ რუსეთის სახელმწიფო დუმაში: ომი დაიწყეს მთავრობებმა, ჩვენ ვეცდებით იგი დემოკრატიამ დაათავოს.

ვინც დღევანდელ ვითარებას დააკვირდება, არ შეუძლია არ აღნიშნოს, რომ ეს დებულება სწორი მაჩვენებელია იმ გზის, რომლითაც ზავის იდეა შემოიჭრა ნათელი შუქივით ომის ცაზე წაბლაგნილ ღრუბლებში და მათ გაფანტვას ლამობს.

პირველი მქუხარე, მაღლა მყვირალი ხმა ზავის სასარგებლოდ, რუსეთის რევოლიუციამ წამოაყენა, ესე იგი რუსეთის დემოკრატიამ.

ზავი უანექსიო და უკონტრიბუციო, ერთა თვითგამორკვევის საფუძველზე. და ეს ლოზუნგი მაშინ დიდი სისწრაფით მოედვა მთელ ევროპის მუშა ხალხს.

ევროპის იმპერიალიზმი, განურჩევლათ სანგრების იქითა თუ აქეთა მხარისა—ერთსულოვნათ ამხედრდა ამ ლოზუნგის წინააღმდეგ. რუსეთის დემოკრატიის დიადი ამოძახილი გადაიქცა წითელ ჩვენებათ, რომელსაც ყველა კუთხიდან ერეკებიან იმპერიალისტური მთავრობები, იარაღის მოჟღარუნე გენერლები, სოციალიზმის ხელმძღვანელთ ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალებას უსპობდენ.

მაგრამ ხალხი ამ იდეას გულში იხუტებდა, მის განხორციელებაზე სასოებით ოცნებობდა.

ბოლშევიზმის ყურა ტაქტიკობამ და ბურჟუაზიულ-ბურჟუაზიულმა შინ რბევის პოლიტიკამ, და გარეშე მტრის წინაშე წამოჩოქებამ, ამ იდეას დროებით თითქოს ელფერი ჩამოაცალა. ევროპის დემოკრატია დააფიქრა, იმპერიალისტები გაახალისა ბოლშევიზმის მოქმედებამ, რომელიც სახელს უტეხდა მთელ მოძრაობას, ზავის იდეას და თვით რევოლიუციას. რევოლიუცია მის ხელში გადაიქცა დამარცხებათ, გასრესათ, განადგურებათ. რევოლიუცია გახდა სინონიმი უბედურების და უაზრო სისხლის ღვრის. მაგრამ ეს იყო რევოლიუცია ბოლშევიზმის, აზიური რუსეთის, არა ევროპიულის რუსეთის.

ევროპიული რუსეთის იდეალები, შეთანხმებული ევროპის დემოკრატიის იდეალებთან, თავის უმწიკვლოებით კვლავ აღმოცენდენ დასავლეთ ევროპის მუშათა კლასში და მანათობელ ვარსკვლავივით გადაიქცენ.

გერმანია, რომლის იმპერიალისტები ყველაზე მეტათ უწყობდენ ხელს რუსეთის ბოლშევიზმს, ეტმასნებოდენ ლენინს, როგორც რევოლიუციის იდეის სახელგამტეხს, დღეს თვით შეიქმნენ მლოცველი დემოკრატიის იდეებისა.

ზავის იდეა—რუსეთის რევოლიუციის პირველი ხანისა—დღეს გადაიქცა სამოქმედო, კონკრეტიულ ლოზუნგათ გერმანიის მუშათა კლასში. დიადი ტრადიციები რუსეთის რევოლიუციის პირველი, გმირული, ნათელი ხანისა, მოკვდენ მხოლოდ იმისთვის, რომ ახალი ძალით აღმდგარიყვენ ევროპის პროლეტარიატში.

ევროპამ კვლავ იშვილა მისი ნაშობი და რუსეთში იქიდან გადმოტანილი იდეები.

უნდა აღვნიშნოთ, რომ გერმანია მუშათა კლასის ენერგიული ზედგავლენით იღებს რა სავსებით დემოკრატიულ ბასონს, იმორჩილებს მთავრობას და პარლამენტს, თან ხდება აკვანი ამ იდეისა, რომელიც რუსეთის რევოლიუციამ კოცონივით აანთო ცეცხლის ენათ პეტროგრადის მუშათა საბჭოს ისტორიულ დეკლარაციაში 14 მარტს, 1917 წელს.

დიაღ, 14 მარტი კვლავ იშვა დღეს ევროპაში.

გერმანიის მუშათა კლასთან ერთად მას სავსებით მიემხრო საფრანგეთის მუშათა კლასიც ლონგე—მესვეური ზავისა, გახდა ნამდვილი გამომხატველი მთელი საფრანგეთის შეკავშირებული მუშათა კლასის.

ბედმა ინება, რომ ეს იდეები კონკრეტული სახით ვილსონის წინადადებების სახით ჩამოყალიბებულიყო. მაგრამ თვით იმპერიალისტი ვილსონი, ახლა ცდილობს იჯმნას თავის დებულებებისაგან.

მის წინადადებას ნამდვილი დემოკრატია გამოესარჩლა და ბურჟუაზიულ ამერიკის შტატების პრეზიდენტი თვითონ დააფრთხო იმ იდეების საშინელებამ, რომელსაც იგი იანვარში დიდის რიხით ისროდა ქვეყნიერების წინაშე.

იმპერიალისტები მზათ არიან თავის ნათქვამი უკანვე გადაყლაპონ, ზავის ღმერთი კვლავ ბნელ ჯურღმულში დაამწყვდიონ.

და კვლავ იწყება ომი ზავის და ომის. ომი, რომელსაც ეხლა რუსეთის რევოლიუციის ნანგრევებთან ერთათ აწარმოებს ევროპის დემოკრატია.

ზავი და ომი უდრის დემოკრატიას და ბურჟუაზიას. ზავს დემოკრატია აცხადებს, ომს ბურჟუაზია. და საკითხი ქვეყანაში სისხლის ღვრის შეწყვეტისა კვლავ დგება, როგორც საკითხი დემოკრატიის გამარჯვებისა. ომი დაიწყეს მთავრობებმა, იგი უნდა დემოკრატიამ დაათავოს.

ჯიუტ ინგლის-საფრანგეთის იმპერიალისტურ მთავრობის, და საომარი აღტაცება ამერიკის ბურჟუაზიის, უნდა გატეხილ იქნეს თვით ამ ქვეყნების დემოკრატიისგან. ეს არის დღეს მორიგი საკითხი და საერთაშორისო დემოკრატიისა. გერმანიის პროლეტარიატმა საზავო ხელი გაიშვირა, საფრანგეთის და ინგლისის სოციალისტებმა იგი მიიღეს.

მაგრამ გერმანიის დემოკრატიამ იგი თავის მთავრობას მიაღებინა, საფრანგეთ-ინგლისსამ უნდა თავისას მიაღებინოს.

და მხოლოდ მაშინ ჩამოკრავს ზარი მშვიდობიანობისა და კაცთა შორის სათნოებისა.

ომი დაიწყეს იმპერიალისტებმა, მას დემოკრატია დაათავებს.

## სოციალ-დემოკრატია საქართველოსი თუ ამიერ-კავკასიისა?

ათი ნოემბრისთვის ქალაქ თფილისში მოწვეულია პარტიული ყრილობა სოც.-დემ. პარტიისა. მრავალ დიდმნიშვნელოვან საკითხთა შორის, ეჭვი არ არის, დაისმება ასეთი საკითხიც: უნდა შეიქმნეს საქართველოს სოციალ-დემოკრატია, თუ ისევ დარჩეს ისევ ამიერ-კავკასიის სოციალ დემოკრატია.

თუ საკითხს ისტორიულად შევხედავთ, შესაძლებელია ის გადავართოვდეს ასე: უნდა დარჩეს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია, თუ ამიერ-კავკასიის?

ქრონოლოგიურათ მართლა ასე მოხდა: როცა ამიერ-კავკასია რუსეთს ჩამოშორდა და დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა ამ ფაქტს ანგარიში გაუწია და სახელი „რუსეთის" მოხსნილ იქნა და დარჩა „სოციალ-დემოკრატიული პარტია". თავისთავათ იგულისხმებოდა, რომ ეს იყო პარტია ამიერ-კავკასიის საზღვრებში. ამ რიგათ, სახელმწიფოს ბედი პარტიამაც გაიზიარა: რაკი ამიერ-კავკასია რუსეთს ჩამოშორდა, ამიერ-კავკასიის საოლქო პარტიული ორგანიზაციაც გამოეყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას.

26 მაისს ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებრივი ერთეულიც დაირღვა და ჩვენც თავაარსეთ საქართველოს რესპუბლიკა.

ფაქტიურათ ადგილობრივ პარტიულ მუშაობას საქართველოს საზღვრებში მომქედი პარტიული ორგანიზაციები აწარმოებენ და ამ რიგათ ჩვენ საქმე გვაქვს საქართველოს სოციალ-დემოკრატიასთან.

მაგრამ ფორმალურათ საოლქო კომიტეტი არჩეულია საოლქო ყრილობის მიერ და ყრილობამ უნდა დაადასტუროს ესა თუ ის მდგომარეობა, მან უნდა სთქვას: დარჩება ისევ ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატია, თუ შეიქმნება სოციალ დემოკრატიული პარტია საქართველოსი.

ჩვენის ფიქრით, ეს კითხვა ერთობ მარტივია, ის თვით ცხოვრებამ დასვა და გადასჭრა კიდეც. მაგრამ ის სადაოთ გახადეს იმ ამხანაგებმა, რომელნიც ჩვენ ჩამოგვშორდენ და საორშაბათო რუსული „სოციალ დემოკრატი" დაიარსეს.

რუსული საორშაბათო „სოციალდემოკრატი" მოითხოვს, რომ პარტიულმა ყრილობამ დაადასტუროს ამიერ-კავკასიის სოციალ დემოკრატიის არსებობა. აღნიშნულ ორგანოს თანამშრომელი ესსენი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირმა გადასწყვიტა ამიერ-კავკასიის საზღვრებში მოქმედება და უკვირს, ქალაქთა კავშირმა რათ აირჩია სხვა გზა და საქართველოს საზღვრებში რათ ჩამოაყალიბა თავისი მოღვაწეობა. და ესსენი ჩვენს პარტიას ურჩევს კოოპერატივებს მიჰბაძოს.

მაგრამ განა ეს არის საბუთი? ჩვენ რა ვიცით, თუ რისთვის აირჩია კოოპერატივების კავშირმა ასეთი გზა. ალბათ მას თავისი ეკონომიური მოსაზრებები ჰქონდა. მაგრამ ჩვენთვის ხომ სავალდებულო არ არის ეკონომიურ ორგანიზაციების მოქმედების ხაზი. ჩვენ შეუძლოდ მიგვაჩნია ესსენის სხვა „საბუთებზე" შეჩერება, რადგან ვერ გაგვიგია: რა დამოკიდებულება აქვს ამ საკითხთან გერმანიის ან ბაქოს ამბებს ან თუნდაც იმ მოპორილ ამბავს: სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელები პარტიულ ორგანიზაციებს ანგარიშს არ უწევენ და თავის ჭკუაზე მოქმედობენო?

ესსენს ერთად ერთ პრინციპიალურ ხასიათის მოსაზრება მოჰყავს: ეს არის ინტერნაციონალიზმის და კლასთა ბრძოლის მოსალოდნელი გაძლიერება. ეს მართლა სერიოზული საკითხია და ჩვენც არ შეგვდის ეჭვი იმაში, რომ ინტერნაციონალიზმი გაძლიერდება და კლასთა ბრძოლა გაღრმავდება. მაგრამ ნუ თუ ამისთვის საჭიროა, რომ საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში არ არსებობდეს სოციალ-დემოკრატია? დღემდის ასე იყო და არის ყველგან: ერთი სახელმწიფო, ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტია. და თუ ამ დებულებას შორდებოდენ სადმე, ეს იყო გადახრა არა რამდენიმე სახელმწიფოს სოციალ-დემოკრატიის ერთ პარტიათ შედუღებისაკენ, არამედ ერთ სახელმწიფოში რამდენიმე სოციალ-დემოკრატიის მოწყობისაკენ.

ასეა, მაგალითად, ავსტრიაში. ასეთს გზაზე დადგომას გვირჩევდენ ჩვენ მაშინ, როცა რუსეთი არსებობდა, რასაც ჩვენ უარვყოფდით.

დღეს კი „სოციალ-დემოკრატი" გამოსდგარა და გვირჩევს ავშორდეთ სახელმწიფოს საზღვრებს და რამდენიმე სახელმწიფოში გადავიტანოთ მოღვაწეობა.

რატომ ჩვენში უნდა მოხდეს ისეთი სასწაული, რომელსაც არც ერთს ქვეყანაში არ აქვს ადგილი? ან იქნებ ამიერ-კავკასიის სამ რესპუბლიკათა შორის უფრო დიდია კულტურული ერთფეროვნება და პოლიტიკურ წყობილების მსგავსება, ვინემ მაგალითად, ავსტრიასა და გერმანიას შორის? ნუ თუ „სოციალ-დემოკრატმა" ეს არ იცის? და თუ იცის, რატომ თხოულობს ამას ჩვენგან და იმასაც ინტერნაციონალიზმის სახელით?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ-ნი ესსენი პირდაპირ არ ამბობს, ან ვერ ამბობს იმას, რისი თქმაც უნდა. მისი ამხანაგი დ. გ. უფრო გულწრფელია: ის ეძებს გზას, რომელიც ამიერ-კავკასიის შემწეობით რუსეთთან მიგვიყვანდა.

ასეთს სულიერ განწყობილების გავლენის ქვეშ სწერს თავის წერილს ესსენიც. მას არ ჰსურს საქართველოს რესპუბლიკის არსებობა და ამიტომ ვერც სოციალ დემოკრატია წარმოუდგენია საქართველოს რესპუბლიკაში. ამიტომ არწმუნებს ის მკითხველებს, ვითომც პარტიის მეთაურები არ გამოხატავენ პარტიის წევრების აზრს და მიდრეკილებას.

ჩვენ კი მაინც ჩვენი გზით ვივლით და არა მკითხე მზრუნველების ფეხის ხმას არ ავყვებით.

ათი ნოემბრის ყრილობამ დაადასტუროს შექმნილი მდგომარეობა და დაარსოს სოციალ დემოკრატიული პარტია საქართველოსი, რომელიც შევა ინტერნაციონალის დიდებულ ოჯახში, როგორიც სრულ უფლებიანი წევრი.

და ეს ახალი წევრი—საქართველოს სოციალ დემოკრატიული პარტია ღირსეულათ ამოუდგება გვერდში სხვა ქვეყნების მუშათა პარტიებს და ხელს შეუწყობს ერთა თვითგამორკვევის საკითხის დემოკრატიულათ გადაჭრას.

## საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მოხდა 26 მაისს. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენს ქვეყანას შიგნით და გარეთ აუარებელი მტერი ეხვია და ჩვენი ხალხის ფიზიკურად განადგურებასაც კი ლამობდენ. ყველაზე უფრო საშინელი მტერი იმ დროს ჩვენი ქვეყნისა იყო ოსმალეთი. ამ დროს მოლაპარაკება სწარმოებდა ბათუმში, ოსმალეთთან ზავის შეკვრის შესახებ. ისარგებლა რა ოსმალეთმა ჩვენი ქვეყნის სისუსტით, მან დაარღვია ყოველივე საერთაშორისო ნორმები და ჩვენს დელეგაციას ულტიმატუმს ულტიმატუმზე უგზავნიდა და ჩვენი ქვეყნის თითქმის სრულ ოკუპაციას მოითხოვდა, რადგანაც მან კარგათ იცოდა, რომ ჩვენ იმ ხანებში ოსმალეთს ვერ გაუმკლავდებოდით და გამარჯვებული თვითონ გამოვიდოდა.

რადგანაც ჩვენ არ შეგვწევდა ძალა საკუთარი ძალების ანაბარა თავი დაგვეცვა, ჩვენმა მთავრობამ მიმართა დასახმარებლათ კულტურულ გერმანიას. გერმანიამაც დიდი სიამოვნებით მიიღო ჩვენი მთავრობის მიმართვა და საქართველოში გამოგზავნა თავისი ჯარების ნაწილი, საქართველოს რესპუბლიკის გარეშე მტრებისაგან დასაცველათ. გერმანელებმა მათი დაპირება ჩვენს მიმართ პირნათლად შეასრულეს. ისინი დღემდისაც იცავენ ჩვენს საზღვრებს გარეშე მტრების მიერ, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი რაიმე ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარეულიყვენ. გერმანელების ჯარს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს დემოკრატიის წინაშე. თუ არა გერმანელების დახმარება, საქართველოს დემოკრატია დღეს ისე იქნებოდა განადგურებული ოსმალეთის ურდოებისაგან, როგორც ის მხარეები, სადაც მათ წილათ ხვდათ ფეხის შედგმა. გერმანელების ამ ღვაწლს საქართველოს დემოკრატიისადმი აუცილებლათ აღნიშნავს მომავალი ისტორია და მადლობითაც მოიხსენიებს მათ.

მაგრამ მათი ღვაწლი საქართველოს რესპუბლიკისადმი მარტო ამ მხრით არ განისაზღვრება. აქ აღსანიშნავია კიდევ მეორე მხარე მათი მოქმედებისა. მართალია, ჩვენ გამოვაცხადეთ საქართველო დამოუკიდებელ რესპუბლიკათ და ეს მთელს ქვეყანას ვამცნეთ, მაგრამ ამით კიდევ არ იჭრება დამოუკიდებლობის საკითხი. საჭიროა ეს დამოუკიდებლობა ცნობილი იქნეს სხვა სახელმწიფოების მიერ, რაიც თავდებია დამოუკიდებლობის საბოლოო უზრუნველყოფისათვის. და ამ მხრით პირველი ნაბიჯი თვით გერმანიის მთავრობამ გადასდგა. მან აიძულა რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა, რაიც სისრულეში იქმნა მოყვანილი. ამ რიგათ გაიკაფა გზა ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისათვის. ამის შემდეგ გერმანიას საშუალება მიეცა ეცნო ჩვენი დამოუკიდებლობა, რაიც ფაქტიურათ უკვე აღიარებული იყო. ასეთი ფაქტის შემდეგ, თავისთავათ ცხადი იყო, სხვა სახელმწიფოებსაც გაუადვილდებოდა ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობა. და, აი, 27 ოქტომბერს, საქართველოს პარლამენტის არაჩვეულებრივ სხდომაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა აცნობა პარლამენტს ფრიად სასიხარულო ცნობა: რომ ჩვენი დამოუკიდებლობა უკვე უცვნია შვეციის, დანიის და შვეიცარიის მთავრობას და ამ სახელმწიფოების მთავრობებსა და ჩვენს მთავრობას შორის უკვე მომხდარა დიპლომატიური მოლაპარაკება და ამ რამდენიმე დღის შემდეგ ხსენებულ სახელმწიფოებში ჩვენ გვეყოლება ჩვენი დიპლომატიური წარმომადგენლები. აგრეთვე მათი წარმომადგენლებიც იქნებიან ჩვენს რესპუბლიკაში. გარდა ამისა ჩვენს საგარეო მინისტრს ნორვეგიაში მყოფ ინგლისისა და საფრანგეთის მისიებისთვის გადაუცია ნოტა თავიანთი მთავრობის გადასაცემათ, რომელშიაც ეს აზრია გატარებული, რომ ხსენებულმა მთავრობებმა იცნონ საქართველოს დამოუკიდებლობა და გამოგზავნონ თავიანთი დიპლომატიური წარმომადგენელი. ხსენებულ სახელმწიფოების მისიებს დიდი დახმარება აღუთქვამთ ჩვენი საგარეო მინისტრისათვის, რომ საფრანგეთმა და ინგლისმაც იცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხსენებული სახელმწიფოები მალე იცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას და ეს უდიდესი გარანტია იქნება იმის, რომ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია. ამის შემდეგ თვალსაჩინო წევრი კაცობრიობისა რჩება ამერიკა, რომელსაც ჯერ ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ არაფერი უთქვამს და რომლის სიტყვას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ოჯახში. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამერიკა იცნობს ჩვენს დამოუკიდებლობას, რადგანაც ვილსონი თავის საზავო პირობებში, რომელიც გერმანიის მთავრობამ მიიღო, თანხმაა ერთა თვითგამორკვევის, რასაც სავსებით გამოხატავს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ასეა თუ ისე, საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე ფაქტიურათ და ფორმალურათ იცნო ხუთმა ევროპის სახელმწიფოებმა. ესეც უდიდესი გარანტიაა იმისი, რომ ჩვენ წევრი გავხდებით საერთაშორისო ოჯახისა, სადაც მუდამ შეგვეძლება ჩვენი დამოუკიდებლობა და სუვერენობა კანონიერებისა და უფლების გზით დავიცვათ. ხუთი თვის დამოუკიდებელ არსებობის ისტორიაში საქართველო საკმაოთ განმტკიცდა და ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში ის კიდევ უფრო განმტკიცდება ჩვენი მთავრობისა და საქართველოს პარლამენტის ენერგიული და თავდადებული მუშაობით.

ჩვენი დემოკრატიის მოვალეობაა გვერდში ამოუდგეს მისი ნდობით აღჭურვილ საქართველოს პარლამენტსა და მთავრობას და ყოველის მხრით დაეხმაროს ამ მძიმე და პასუხსაგებ საქმეში, როგორიცაა სახელმწიფოს აშენება დემოკრატიულ ნიადაგზე და რომლის აშენებასაც შეუდგა ჩვენი მთავრობა, დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა.

დამოუკიდებლობა ერის იდეალია და ეს იდეალი ქართველმა ერმა დღეს უკვე განახორციელა. ქართველ დემოკრატიას უკვე გაუჯდა ძვალ-რბილში დამოუკიდებლობის სიყვარული და მას ის არასოდეს თავის ნებით არ დასთმობს და თუ ვინმე ძალათ მოინდომებს წაართვას ქართველ ხალხს დამოუკიდებლობა და თავისუფლება, ის სასტიკ წინააღმდეგობას შეხვდება ხსენებული დემოკრატიის მხრით. ეს უნდა იცოდენ იმ ავანტიურისტებმა, რომლებიც საქართველოს საზღვრების გადმოლახვას შესდგომიან ბორჩალოს მაზრაში და მით შეურაცყოფას აყენებენ ჩვენს სუვერენობას. საქართველოს დამოუკიდებლობის დამცველი დემოკრატიაა და ყოველთვის შესძლებს ამა თუ იმ კარზე მომდგარ მტრის ალაგმვას და დამოუკიდებლობის და თავისუფლების შენარჩუნებას.

ხ. ელიაშე.

## საქართველო-სომხეთის დამოკიდებულება

### სანაინის მხარეში.

19 ოქტომბერს ჯავშნიან მატარებლის უფროსმა ვ. გოგუაძემ მთავრობისაგან განკარგულება მიიღო, რომ ის ჯავშნიან მატარებლით გამგზავრებულიყო სანაინში და სომხის ჯარისაგან გაეწმინდა ჩვენი მიწა-წყალი. თანახმად ბრძანებისა გავემგზავრეთ სანაინისკენ, სადაც მივედით 20 ოქტომბერს დილით სამ საათზე. გამოირკვა, რომ სომხების ჯარები გადმოსულიყვნენ უწინდელი თათრების სადარაჯოს აქეთ 6 ვერსით. გოგუაძემ აქაც ფრთხილად და დაკვირვებით მოეკიდა თავის მოვალეობის აღსრულებას, რომ საქმე არ გაემწვავებინა და მით საბაბი არ მისცემოდა უბრალო სისხლის ღვრას. მან განკარგულება გასცა, რომ ჩვენის მხრივ თოფი არ გავარდნილიყო. 20-ს ღამით მოვიდა ჩვენი ჯარის მცირეთი რაზმი რიცხვით 48 კაცი. 21-ს ვ. გოგუაძემ, თანახმად სამხედრო მინისტრის ბრძანებისა სომხის ჯარს წარუდგინა ულტიმატუმი. მათ უნდა დაეცალათ ჩვენი მიწა-წყალი და შაგალამდე უკან დაეხიათ, დრო ამის აღსასრულებლათ მიცემული ჰქონდათ 24 საათი.

სომხის ჯარმა აღნიშნულ ალაგამდის დაიხია. ამ რიგათ, ამ დღეს თოფი არ გავარდნილა, დღე მშვიდობიანად ჩატარდა. 23-ს ჩვენი ჯარი მოვიდა, რომელმაც შესაფერ ალაგს დაიბანაკა.

უნდა აღინიშნოს, რომ აქაური ლტოლვილები უკიდურეს მდგომარეობაში არიან. ბევრი მათგანი ეხლა მოტყუილებით მოუყვანიათ, ერევნიდან თფილისში ჩავალთ და გაგაბედნიერებთო. ასეთი მოპაარაკებულის ენით აგზნენ თავიანთ დაგეგმულ ანკესზე სომხის შოვინისტები და სომხის ერის „მესვეურები" დაწაკ-

ცოფტუნის პარტია, ისედაც აწიოკებულს ლტოლვილებს.

25 ოქტომბერს გოგუაძემ იღო ცნობა, რომ სოფ. შენიხში სადგ. აირუმსა და ახტალას შუა სომხ. ს 500 ცხენოსანი ჯარი შემოვიდაო, ის აღნიშნულ ალაგისკენ საჩქაროთ გაემგზავრა. აქ მან მოხდენილ ალაგას გააჩერა ჯავშნოსანი № 1 და მზვერავები გაგზავნა. სოფელზე მიახლოვებისას მათ სროლა აუტეხეს მოწინააღმდეგეთა ბანაკიდან, რის შემდეგ იძულებული გავხდით ჩვენს მზვერავებს ჯავშნოსნით დავხმარებოდით. ჩვენის მხრივ არ ვინ დაჭრილა, მზვერავებმა ხელთ იგდეს მოპირდაპირის იარაღი და პატრონები.

ადგილობრივი მცხოვრებლები ავანტიურას არ თანაუგრძნობენ, რადგან უფრო დარბევის ეშინიათ.

დ. ბ—ლი

---

### გაზეთების აზრი.

საქართველო სომხეთის კონფლიქტი ზოგიერთ გაზეთებს სურთ გამოიყენონ იმ მასალათ, რომლითაც შეიძლებოდეს საქართველოს მთავრობის მტყუან პირათ გამოყვანა ამ კონფლიქტში.

„კავკაზსკოე სლოვო“, მაგ., მიესალმება ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, საკითხის შეთანხმებით გადასაწყვეტათ, მაგრამ ამავე დროს თავის ჩვეულებას ვერ ღალატობს.

და ეს ჩვეულება კი იმაში მდგომარეობს, რომ საკითხს ისე აყენებს გაზეთი, თითქოს დამნაშავე საქართველოს მთავრობა იყოს. ის სწერს: იარაღის ძალ-რუნის, ჯავშნოსნების გაგზავნისა და სხ. მაგივრათ უკეთესი არ იქნება შეთანხმებით გადაწყდეს საკითხი?

ისე გამოდის, თითქოს საქართველოს მთავრობა ამის წინააღმდეგი იყოს, მაგრამ როცა იარაღით მოდიან სომხეთიდან, იარაღითვე აძლევენ პასუხს. საკითხის აგრე დაყენება, ალბათ, ხელსაყრელი არ არის „კავკაზ. სლოვოსთვის“.

კადეტების რუსული „რეჩი“, რომელიც უდრესათ სომხური გაზეთია, ქართულ გაზეთებს სდებს ბრალს ისეთი საზოგადოებრივი აზრის შემუშავებაში, რომელიც დამნაშავეთ გამოიყვანს თურმე სომხეთის მთავრობას. ამაზე უთქვამს ჩვენს ხალხს—ჩემი შენ გითხარიო და სხ.

„ზნამია ნაროდა“—სწერს: „ჩვენ შორსა ვართ იმ აზრისგან, რომ ქებათა-ქება შევასხათ საქართველოს მთავრობას, მაგრამ საერთო ხაზი მისი მოქმედებისა ამ საკითხში სწორია. კატეგორიული განცხადება მთავრობის წარმომადგენელისა, რომ იარაღით საკითხის გადაჭრას ის არ დაუშვებს, ჩვენ იმედს გვაძლევს, რომ დანაპირებს აასრულებს და შექმნილი მდგომარეობიდან ღირსეულად გამოვა. ამ მხრით საქართველოს მთავრობის ყველა ნაბიჯებს, ჩვენ ეჭვი არ შევვდის, მხარს დაუჭერენ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა და დემოკრატია, განურჩევლად მიმართულებისა და ნაციონალური სხვადასხვაობისა. ჩვენი სურვილია ამავე გზაზე შედგეს სომხეთის მთავრობა“.

აღსანიშნავი აქ ისაა, რომ ეს ერთი ნაბიჯი, ჩვენი მთავრობის მიერ გადადგმული სწორ ნაბიჯათ სცნო გაბოროტებულ ესერების გაზეთმაც კი.

---

**საუბარი კომისარ შ. მაღლაკელიძესთან.**

„საქ. რესპ.“ თანამშრომელს შემდეგი უამბო ტფილისის გუბერნიის კომისარმა შ. მაღლაკელიძემ, რომელიც ბორჩალოს მაზრაში იყო გაგზავნილი:

როგორც გამოირკვა, პოლკოვნიკ კარალკოვს გენერალ დროსაგან მოსვლია შემდეგი დეპეშა: „სამხედრო მინისტრის დეპეშის (№ 905) და დივიზიის უფროსის დეპეშის (№ 114) თანახმად გიბრძანებ ხვალ, 9 საათზე, გადასცეთ კარაჯა და წათერი. პოსტების შეცვლა დაასრულეთ 12 საათზე, 27 ოქტომბერს, რაზეც შეატყობინეთ ქართველ ჯარის ხელმძღვანელთ ამის მიღებისათანავე“. პოლკოვნიკ კარალკოვს ეს დეპეშა შეუჩერებია და ჩვენებისათვის არ გადმოუცია.

## ორმაგი პოლიტიკა

ჩვენს გაზეთში დაშნაკელთა პარტიის ორმაგ პოლიტიკას ვღნიშნავდით.

ბევრჯერ მოგვიყვანია იმის საბუთები, რომ დაშნაკციუტიუნის პარტია ერთს ამბობს, მეორეს აკეთებს, ან პირიქით.

ესერების „შრომა“-ს კი აზრათ მოსვლია ორმაგ პოლიტიკის წარმოებაში „ერთობა“ ამხილოს.

„შრომისთვის“ ასეთი რამ მისწრებაა, მაგრამ არ იკითხავთ როგორ ასაბუთებს გაზეთი თავის აზრს?

ის ეხება მანთაშევის ქარვასლაში აღმოჩენილ იარაღის ისტორიას, ქალაქის საბჭოში ამ საკითხის გამო ქალაქის თავის მიერ გაკეთებულ მოხსენებას და დასძენს:

ეხლა კი „ერთობა“ სულ სხვა ელფერს, სულ სხვა ხასიათს აძლევს მომხდარ ინციდენტს. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ამ წინააღმდეგობას ნ. ელიავას და „ერთობის“ მიერ აღნიშნულ ინციდენტის გაშუქებას და ახსნას ორმაგ პოლიტიკის ელფერი აქვს. იბადება კითხვა—ვინ უფრო გულწრფელია, ნ. ელიავა, რომელსაც ის სერიოზულ ხასიათს აძლევს 21 ოქტომბრის ინციდენტს, თუ „ერთობა“, რომელმაც ამ ინციდენტში დაშნაკელების ბრალი თითქმის მოღალატეობა დაინახა?“

უკეთესი კი იქნებოდა, ჩვენის აზრით, რომ „შრომას“ კითხვა ასე დაეყენებია—არ ვიცით რა არის ორმაგი პოლიტიკა და აგვიხსენითო.

ჩვენთვის გასაგები იქნებოდა „შრომის“ შენიშვნა სოც. დემ. პარტია, რომ სხვა აზრის ყოფილიყო ამ საკითხში, ვიდრე „ერთობა“—ეს შეიძლება ყოფილიყო ორმაგი პოლიტიკა.

ერთი იქნებოდა პარტიის აზრი, მეორე მისი ორგანოსი. ნიკო ელიავა კი პარტიის ერთი წევრთაგანია და არა პარტია.

ნუ თუ ამის შესახებაც ენის ამოსადგმელი კითხვის დაწყება უნდა ვურჩიოთ „შრომის“ მწერლებს?!..

## ახალი ამბები

**დღეს, ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია ს. დ. პ. საოლქო კომიტეტის კრება. განსახილველია ფრიად საყურადღებო კითხვები.**

◆ **დარიალის სიმაგრე.** საინჟინრო და სატეხნიკო სექციის უფროსმა დაათვალიერა დარიალის სიმაგრეები, რომელიც ახლად შენდება და შეატყობინა სამხედრო სამინისტროს, რომ სიმაგრეები ძლიერ მკვიდრად და მტკიცეთ შენდება, მაგრამ მუშა ხელის ნაკლებობა აბრკოლებს მის მალე დამთავრებასო. ამის გამო სამხედრო მინისტრმა სანაპირო სადარაჯოების უფროსს უბრძანა მეტის სიფხიზლით აწარმოოს ამ სიმაგრეთა დაცვა, მის საბოლოო დამთავრებამდე. სამხედრო მინისტრმა სთხოვა აგრეთვე შინაგან საქმეთა მინისტრს, რათა გასცეს შესაფერი განკარგულება აღნიშნულ სიმაგრეთა აშენებისათვის მუშების გასაგზავნათ და სხვა დახმარების აღმოსაჩენათ.

◆ **ბონები სომხეთს.** სომხეთა დიპლომატიურმა წარმომადგენელმა მიმართა გარეშე საქმეთა მინისტრს განცხადებით, რომ საქართველოს სახელმწიფო ბანკმა უარი უთხრა სომხეთა ფინანსიურ წარმომადგენელს სომხეთის რესპუბლიკისათვის საჭირო ბონების მიცემაზე. იმას შესახებ გარეშე საქმეთა მინისტრმა უპასუხა, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად ფინანსთა მინისტრს დავალებული აქვს არ მისცეს სომხეთის წარმომადგენელს ბონები, სანამ ერევნიდან საქართველოს მთავრობის მიერ 23 ოქტომბრის გაგზავნილ ნოტის დამაკმაყოფილებელ პასუხს არ მიიღებს სომეხ-ქართველთა უთანხმოების შესახებო.

◆ **ნავთი.** სამინისტროს განკარგულებაში მოვიდა 40 ვაგონი ნავთი. აქედან 34 ვაგონი რკინის გზებს მოხმარდება. დანარჩენი 6 ვაგონი ქალაქის თვითმართველობისა და ტფილისის რაიონის მეჭარხლეთა კავშირს შორის განაწილდება.

— ალავერდიდან მოელიან 19 ვაგონ ნავთს, რომელიც ქალაქის თვითმართველობას თფილისის რაიონის მეჭარხლეთა კავშირს შორის განაწილდება.

— სათბობ მასალის სათათბიროს რამდენიმე შუამდგომლობა მოუვიდა ნავთის თავისუფლად შემოზიდვის შესახებ. ერთმა პირმა ნება ითხოვა 150,000 ფუთი ნავთის შემოზიდვის შესახებ. სათათბირომ დაადგინა ხელშეკრულობა არავისთან არ დასდოს, ვიდრე არ გამოირკვევა ბაქოდან ნავთის შემოზიდვის საკითხი.

— სათბობი მასალის სათათბირომ ნება დართო კავკავიდან თავისუფლად ნავთის შემოზიდვისა.

— გორში ელოდ ჩნენ 1,800 ფუთი ნავთი, რომელიც ქალაქს გადაეცა.

◆ **რადიო სადგური ფოთში.** საქართველოს რადიო სადგურის ინსპექტორმა აცნობა მთავრობას, რომ 14 ოქტომბერს ფოთში დაარსდა რადიო სადგური, რომელსაც კავშირი ექნება სტამბოლ-კერჩ-ოდესა ნიკოლაევ და-ბერლინთან.

◆ **მიწის ნორმა.** მიწათ მოქმედების სამინისტროს საბჭომ საბოლოოთ შეიმუშავა კანონპროექტი მიწის ფონდის განაწილების შესახებ. შესაძლებლათ სცნეს საბოლოო ნორმათ მიიღონ 1918 წლის 7 მარტის ნორმა (7 დესეტინა). საბჭო წინააღმდეგია კერძო საკუთრების დაცვაში რაიმე შეღავათისა. საბოლოო რედაქციისათვის არჩეულ იქნა კომისია: ლ. გ. ასათიანი, ს. ს. კონი და ს. ნ. ტიმოფეევი.

◆ **ქურდობა.** 26 ოქტომბერს ღამით მაგრაყველიძის ბინიდან, პრაჩკინი მოსახვევი № 3, ბოროტ-განმზრახველებმა წაიღეს 4 ათასი მანეთი ფულით და სხვადასხვა ძვირფასი ნივთები.

— 28 ოქტომბერს, ღამით ლ. კალაშაძიანცის ბინიდან მოიპარეს 1250 მანეთი და 20 ათასი მანეთის ნივთები.

◆ **ჯარში კულტურულ განმანათლებელ მუშაობის ორგანიზაციის** გეგმის შესაქმნელათ სამხედრო მინისტრმა დანიშნა კომისია პოლკოვნიკ მაჭავარიანის თავმჯდომარეობით, რომელშიაც წევრებათ შედიან: პოდპოლკ. ჩხეიძე-შვილი, პოლკ. ბოლგაევი, პოლკ. კიზირია, პოდპოლკ. ოთხმეზური და საჯარისო ბათალიონის ექიმი ტყეშელაშვილი.

◆ **თავდასხმა.** 27 ოქტომბერს ღამით სასტუმრო „ანგლეტერში“ ორმა შეიარაღებულ ბოროტ-განმზრახველებმა სასტუმროში მცხოვრებ მილოვს წაართვეს 8 ათასი მანეთი ფულით.

◆ **მკვლელობა.** 28 ოქტომბერს დღის 2 საათზე ორთაჭალაში ვ. ბარამიძემ რევოლვერით მოკლა მეზობელი ეჯიქია და დასჭრა იქვე მდგომი თოიძე.

◆ **დაჭრა.** 27 ოქტომბერს, საღამოს 10 საათზე ახალ ბაზარში, კ. ბელაევმა ხანჯლით მოკლა კ. გალუსტოვი და დასჭრა ალანოვი.

◆ **ქართული სამუსიკო საზოგადება.** პარასკევს, 1 ნოემბერს, კონსერვატორიის დარბაზში ჰმართავს ფრიად საყურადღებო კონცერტს. საღამო შესდგება განსაკუთრებით გერმანულ მუსიკისაგან.

◆ **ონის ებრაელები.** ონის ებრაელებისაგან მთავრობამ შემდეგი დეპეშა მიიღო: „ონის ებრაელები აღელვებულია, ვითომც ჩვენ დეპეშით მივმართოთ თქვენი პეტიციისთვის მომხდარ ებრაელთა კონფერენციის წინააღმდეგ და თავს გამოვყოფილად ვსთვლიდეთ მთლად ებრაელებისაგან. მოგახსენებთ, არავითარი დეპეშა არ გამოგვიგზავნია ონის ებრაელობას, თავის თავს სთვლიან განუყოფელად მთლიანი ებრაელობისაგან. იმედი გვაქვს, რომ სახელოვანი ქართველთა დემოკრატიის მთავრობა არ აჰყვება ქუთაისის ზოგიერთ გადაგვარებულ ებრაელებს და კონფერენციის არჩევნებს იცნობს კანონიერათ“.

◆ **პროფესიონალურ კავშირთა საბჭო** აცხადებს, რომ დასახელებული კავშირი და კერძო კავშირები გადავიდა სასტუმრო „ბომონდის“ შენობაში, ელისაბედისა და ნეკრასოვის შესაყარი. იქვე იმყოფება საბჭოს იურიდიული კონსულტაცია, რომელიც ღიაა სამშაბათობით და პარასკეობით საღ. 8 საათიდან. იმავე შენობაში გადატანილ იქნა იაფ-ფასიანი სასადილო და მუშათა კლუბი.

◆ **ნაქურდალის აღმოჩენა.** 25 ამ თვეს, ღამით ნავთლუღიდან მოჰპარეს ყასაბ კობეჩაშვილს 7 კამეჩი ღირებული 18,000 მან. კობეჩაშვილმა გამოუცხადა მე 6 ნაწილის კომისარს ჯაჯანაშვილს, რომელმაც რამდენიმე დღის შემდეგ აღმოაჩინა სოფელ გიორგიწმინდაში ნიკო ტეტიაშვილთან. გამოძიებით აღმოჩნდა, რომ კობეჩაშვილის მწყემსს ვასო ობოლაშვილს გაურეკია კამეჩები და გადაუცია ტეტიაშვილისთვის. დამნაშავენი დატუსაღებულნი არიან.

◆ **ვიპოვნე** ტრამვაის ვაგონში 26 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე სახელმწიფო ბანკის ორი ბილეთი. პატრონს შეუძლია წარმოადგინოს ნიშნები და მოიკითხოს ტრამვაის კანტორაში ევტიხი ჩხიკვიშვილთან.

◆ **გაზეთების გაუგზავნელობა.** ტეხნიკური მიზეზების გამო გუშინ გაზეთები პროვინციაში არ გაგზავნილა.

### პროვინციის ქრონიკა.

**ს ხევი** (გურია). განათლების სამინისტროს წინაშე სოფ. ხევილებმა აღძრეს შუამდგომლობა, რომ ხევის უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც ემსახურება 14 სოფელს, მთავრობამ თავისი ხარჯით შეინახოს. განათლების მინისტრმა ყოველივე დახმარება აღუთქვა დელეგაციას. თუ სახელმწიფო ხარჯზე ხევის სკოლის მიღება წელს არ მოხერხდა, რადგანაც შუამდგომლობა დაგვიანებულია, სუბსიდიის სახით დახმარებას აღმოგიჩენთო.

**ყანდაური.** (გარეთ კახეთი) აქ დაარსდა სამკითხველო მარიამ ალექსანდრე გაჩეჩილაძის ასულის თაოსნობით. შენობა სამკითხველოს სოფელმა უქირავა. სამკითხველოს აქვს ქართული წიგნები, მოსდის ჟურნალ-გაზეთები.

## დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

29 ოქტომბერი.

### დასავლეთის ფრონტი.

**ბერლინი.** 28 ოქტ. სამხედრო ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის არმია. დღის აღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა. დეინზის სამხრეთით და ლოგემის აღმოსავლეთით და შელდის სამხრეთით არტრთან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ენგლ ფონტენთან და ფამართან ტყვეთ ჩავიგდეთ ინგლისელები.

გერმანიის კრონპრინცის არმია. ტოპონიისთან მტერი შეეცადა უაზის არხზე გადასვლა, მაგრამ ჩვენი წინააღმდეგობის გამო ვერ შესძლო. უაზისა და სერის შუა ჩვენი ჯარი, რომელიც ორი ნიისა და ლაფორის შუა სექტორი ეპყრა, ჩვენ დავწიეთ გიზის დასავლეთ და კრესის აღმოსავლეთ ხაზზე. გიზის სამხრეთ მტერმა იერიში მოიტანა ჩვენს ახალ ხაზზე. მტერმა მრავალი ჯავშნიანი ავტომობილი დაკარგა და ვაიძულეთ უკან დაეხია. სუზის სექტორში, ფრუადმონის და პიერმონის შუა ფრანგების განახლებული იერიში დავამარცხეთ გუშინ მდინარე ენის დასავლეთით მხოლოდ ადგილობრივ ხასიათის ბრძოლა სწარმოებდა. მდინარე ენის დასავლეთით და რეტელის სამხრეთ-აღმოსავლეთით რეილისთან ჩვენმა ჯარმა მოიგერია მტრის იერიში. ვუზიერის აღმოსავლეთით საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. შესტრის აღმოსავლეთით მტრის იერიში მოვიგერიეთ.

გალვიცის არმია. მაასის აღმოსავლეთ მაღლობებზე კუზენვუას და ორმონტის ტყესთან ჩვენ მოვიგერიეთ ამერიკელთა იერიში.

### სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი.

ჯარის გადაჯგუფება წესიერად სწარმოებს. რუდნიკ სამხრეთით, ტოპოლთან, ძლიერი ბრძოლაა. მარანის ორივე მხარეზე უმნიშვნელო ბრძოლაა.

**ვენა.** 28 ოქტ. იტალიის ფრონტი. ზიებენგემეინდეში მტრის იერიში მოვიგერიეთ. ბრენტის აღმოსავლეთით, 60 კილ., მტერმა დიდი ძალებით იერიში მოიტანა, რომელიც ჩვენ დავამარცხეთ. ფონტანო-სეკას სამხრეთით ჩვენ დავიბრუნეთ ძველი პოზიციები და მტრის მრავალი ჯარისკაცი წამოვიყვანეთ ტყვეთ. ამ ბრძოლაში თავი ისახელა პოლკებმა: კლაგენფურტის № 7, ღებრეცინსკის № 39, მარბურგის № 47, № 49 (დამახინჯებულია), ეგერის № 73, ოსტგალიციის № 120; უნგრეთის № 139, უნგრეთის ბატალიონმა № 37, კროატის —42, კროატის—28 და მსროლელმა პოლკმა—1. თავი ისახელა აგრეთვე არტილერიამ და სამხედრო მფრინავებმა. 27 ოქტომბერს ღამით მტერი იერიშით წამოვიდა პიავაზე. ვალდობიადენთან მტერმა შეძლო მდინარის მარცხენა ნაპირზე მცირე ტერიტორიის დაჭერა. ბივოლინოსთან და ვიდართან მტრის იერიში მოვიგერიეთ. მტერმა შესძლო ვიდარის ქვევით მდინარეზე გადასვლა. ჩვენმა ჯარმა კონტრ-იერიშით შეუტია. საღამოთი ბრძოლა სწარმოებდა სოფელ ორიაგოსა და სირნაგლიესთან იტალიელნი შეეცადნენ მონტელოს მთის ძირში წინ წაწევას, მაგრამ მტრის ცდა დავამარცხეთ. ინგლისელებმა პაპადოპოლოს მხრიდან მიაღწიეს ტებეს და სან-პოლოს. ფალტიეკერში ძლიერი ბრძოლა სწარმოებს. პიავაზე დილიდანვე განახლდა ბრძოლა.

ბალკანეთის ფრონტი. ალბანეთის ნაპირზე ედესიოსთან ბრძოლაა. დრინაზე შეტაკება ჰქონდა ჩვენს ჯარს ძლიერ ბანდასთან. ჩვენი ჯარის უკან დახევა სერბიაში წესიერათ სწარმოებს. გუშინ მტერთან შეტაკება გვქონდა მხოლოდ გრადეუვატის სამხრეთით.

**ბერლინი** საღამოს ცნობა. 28 ოქტ. ღირსშესანიშნავი ბრძოლები არ ყოფილა. შელის სამხრეთით, უაზის რაიონში, სუზის სექტორთან, მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

### პალესტინის ფრონტი.

**სტამბოლი.** 28 ოქტ. პალესტინის ფრონტი. ალეპის აღმოსავლეთით მტერი ჩვენს პოზიციას მცირე ძალებით მოუახლოვდა.

**მესოპოტამიის ფრონტი.** ტიგრთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

**პარიზი.** 26 ოქტ. სამხედრო ცნობა. უაზის ფრონტზე გრანდ-ვერის პირდაპირ გერმანელები ძლიერ იერიშებს აწარმოებდნენ. სამხრეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და რიზის სამხრეთ დასავლეთით რამოდენიმე ადგილი აიღო. პურინის აღმოსავლეთიდან ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია. ზუალე პარლის ოლქში ჩრდილო-აღმოსავლეთით უაზისა და სერის ფრონტზე ბრძოლაა. მატო-პირსიენის დასავლეთით ჩვენი ჯარი წინ მიიწევს და მაგრდება სერლის ჩრდილოეთით. დანარჩენ ფრონტზე ღირსშესანიშნავი არაფერია.

### ამერიკის ოფიციალური სამხედრო ცნობა.

28 ოქტ. ვერდენის ფრონტზე, მეუზის ორივე ნაპირზე, ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო. მტრის კონტრ იერიში ბუა დეუ ვალის წინააღმდეგ მოვიგერიეთ. ვევრში ჩვენი რაზმი თავს დაესხა მტერს და ტყვეები წამოიყვანა. ცუდი ამინდების მიუხედავათ ჰაეროპლანები მაინც მოქმედებდა. ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს მტრის ჰაეროპლანი და 1 მზვერავი ბალონი. ყველა ჩვენი ჰაეროპლანი დაბრუნდა.

### ჰოლანდიის ტერიტორიაზე.

**როტერდამი.** 27 ოქტ. ბელგია-ჰოლანდიის საზღვრებიდან „ნოიე როტერდამიშე-კურანტეს“ აცნობებენ, რომ ვენაში მოკავშირეთა ყუმბარებით ქალაქის მცხოვრებნი დაიჭრნენ. გერმანელებმა ძალების მომატების შემდეგ სტრონბროუვე დაიბრუნეს. ჰოლანდიის ტერიტორიაზე ყუმბარები ვარდება. ჰოლანდიის ბურგომისტრის სახლს ორჯერ დაეცა ყუმბარა.

ბურიანმა აცნობა ვილსონს, რომ ავსტრია თანახმაა ჰყავდეს და მათ ხებდება. ბურიანის ადგილი დაიჭირა ანდრაშიმ ბავარია. ბავარიის მასაში მოძრაობა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ბავარიის ლანდტაგის თავმჯდომარემ გამოაცხადა მასსის ასეთი ტენდენცია და სთქვა, რომ ბავარიაში შემუშავდა კავშირის პლანი, რომლითაც ავსტრიის გერმანელებიც იქნებიან შემოერთებული. **ბუდაპეშტში** 27 ოქტ. ვეკერლეს მაგიერ ჰუნგრეთის მინისტრ პრეზიდენტათ დაინიშნა გრაფი კაროლი. მთავრობაში შევიდნენ სოციალისტები, კუნი და გარამი. ვეკერლეს გადადგომა გამოიწვია კროაციაში და სლავონიაში მომხდარ აღელვებამ. ამ ოლქებში რევოლიუციური მოძრაობაა. სამხედრო ტყვეები გაანთავისუფლეს. **სტოკჰოლმი.** 27 ოქტ. ფინლიანდიის სენატმა მოსთხოვა შვეციის მთავრობას ფინლიანდიის რევოლიუციონურ მთავრობის ფინანსთა საქმის კომისარის გილინგის გაცემა. შვეციას არ გაუცია პასუხი. **კონტრ რევოლიუციის ბუდე:** უკანასკნელ ცნობით ადერბეიჯანის თათრების სიმხეცე ბაქოს აღების დროს ნამდვილია. 15,000 სომეხია დახოცილი. შავი ქალაქისა და ჩიზერკენდის მცხოვრებნი დახოცილია. ბალახანის საავადმყოფოში ავადმყოფები ამოხოცეს ექიმებმა, ტანჯვა რომ აეცდინათ, თავი მოიკლეს. ლტოლვილთა თავშესაფარებში ბავშვები და ქალები დახოცეს, გვამები იხრწნება და ქუჩაში სიარული შეუძლებელია. **ეკატერინოდარი.** 29 ოქტ. მოხალისეთა არტილერიის საწყობი აფეთქდა. **დონის როსტოვი.** 25 ოქტ. „პრიაზოვსკი კრაი“ ცნობით, ხარკოვში, პოლტავაში და ჩერნიგოვში გაიხსნა ბიურო დენიკინის არმიაში მოხალისე აფიცერთა ჩასაწერათ. ქვანახშირის გზავნა ცენტრ. პირობებშია ვაგონების უქონლობის გამო. გამოზიდვა ყოველ თვეურათ მცირდება. **ვორონეჟი.** 27 ოქტ. კრასნოვის ბრძანებით ტყვე წითელ არმიელებს აღარ ხვრეტენ. მათ გზავნიან მაღაროებში. ეს აიხსნება მით, რომ დონეცის ოლქში მუშა ხელი აღარ არის. **სამარა.** 28 ოქტ. დამფუძნებელ კრების ჯარმა ჩელიაბინსკის დაცლის შემდეგ დაიხია. ისინი ფიქრობენ განაფხულზე ციმბირში მოკავშირეებს შეუერთდნენ და შემდეგ საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრონ. ჩეხო-სლოვაკები უკან დახევის დროს ჯარს აგროვებენ და ციმბირში გზავნიან. **მოსკოვი.** 28 ოქტ. ხილერიანთა რაცხვი თანდათან კლებულობს გაიხსნა სრულიად რუსეთის ყრილობა ვაჭრობის ნაციონალიზაციის შესახებ. ლარინის, ბრონსკის და სუხარევის მონაწილეობით შეიმუშავეს პროექტი შინაური გარეშე ვაჭრობის ნაციონალიზაციის შესახებ. 3 ნოემბრიდან იწყება მსმენელთა მიღება გენერალურ შტაბის აკადემიაში.

### ბოლშევიკების ცნობები.

**მოსკოვი.** 28 ოქტ. ც. აღ. კომ. მეჭედვითი ბიურო ბიულეტენი (დამახინჯებულია). **პარიზი.** იმპერატორ კარლმა დაავალა თავად ლომკოვიცს განსაკუთრებული მისია შეასრულოს პარიზში ჩიხელ დეპუტატების წინაშე. **ვაშინგტონი.** 26 ოქტ. ფილადელფიაში ვილსონის „ხალხთა კავშირში“ ევროპის პატარა ერების წარმომადგენელთა კონფერენცია იხსნება. კონფერენცია ფიქრობს შეიმუშაოს დეკლარაცია დამოუკიდებლობის შესახებ. **ბერლინი.** 27 ოქტომ. რეიხსტაგში საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა სოლფმა პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ გერმანიის ჯარს ბრალს დებენ საერთაშორისო უფლების დარღვევაში და სიმხეცეს ჩადენაში. მთავრობის სოციალისტმა ნოსკემ გაილაშქრა „დამოუკიდებელთა“ წინააღმდეგ და სთქვა, რომ მთავრობის სოციალისტებს სურთ გერმანიის პროლეტარიატს არსებობა შეუნარჩუნონ; გერმანიის კოლონიების დათმობა კი უსამართლო ზავის დამყარებას, ნიშნავს. შინაგან საქმეთა სტატს სეკრეტარმა ტრიმბორნმა სთქვა, რომ მთავრობის პროპაგანდა ცენზურის და საალყო წესების შესახებ უსათუოდ განხორციელდება დეპუტატი შტალი უნდა გადადგეს, რომ ამომრჩევლებმა გადასწყვიტონ, ვის გადაეცეს მანდატი, შტალს თუ ლიბკნეხტს (შემდეგ დამახინჯებულია). წაიკითხა ვილჰელმის წერილი რომანოვისადმი მიწერილი, „კომუნაში“ გამოქვეყნებული და ბოლოს დამოუკიდებელ პარტიის სახელით მოუწოდა საერთაშორისო პროლეტარიატს თავის ხელში აიღოს ზავის საქმე. **ბერლინი.** 27 ოქტ. გერმანიის სამხედრო საბჭომ განიხილა ვილსონის ნოტა და დასვა კითხვა, როგორ დაიცვან და უშველონ იმპერატორს. ფიქრობენ, რომ ვილსონი მოითხოვს გადადგეს იმპერატორის უფლება, როგორც ჯარის უმაღლეს სარდლის. **პეტროგრადი.** 27 ოქტ. ფინლიანდიიდან მოსული ცნობით სვინხუდის კაბინეტი გადადგომას აპირებს. აპირებენ რევოლიუციონურ მთავრობის შედგენას. **სტოკჰოლმი.** 27 ოქტ შვეციის ბურჟუაზიის პრესა ბოლშევიკების წინააღმდეგ წერას განაგრძობს, რადგან გრძნობს, რომ ბოლშევიზმი მთელი ქვეყნისთვის საფრთხეს წარმოადგენს. **მოსკოვი** 28 ოქტომბერი: გერმანიის პრესა ვილსონის ნოტის შესახებ: „ბერლინერ ტაგებლატი“ ფიქრობს ვილსონს, რომ მის მიერ აღიარებული პრინციპების თანახმად აკრძალულია სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ჩარევა. გაზეთი შეშინებულია, რომ ვილსონი გერმანიის დემოკრატიზაციის ... „ფორვერტსი“ ვერ ბედავს კაიზერის გადადგომა მოითხოვოს. ვილსონი ცდება, თუ ფიქრობს მას, რომ გერმანიის ყოფილ მმართველებს გადამწყვეტი როლის თამაში შეუძლიათ. გამოსთქვამენ შიშს, რომ ზავის მოლაპარაკების დროს ვილსონის პროგრამით არავინ იხელმძღვანელებს და გამარჯვებულთ მადა გაეხსნებათ. „ფრანკფურტერ ცეიტუნგი“ სწერს: „ხალხს მოსწყინდა ძველი რეჟიმი“ (გადამახინჯებული და გამოტოვებულია). მიუნხენში დამოუკიდებელთა კანდიდატს კურტ ისლერს ოვაციით შეეგებნენ. წარმოადგინეს მოთხოვნილება დაუყონებლივ გამოცხადდეს გერმანიის სოციალისტური რესპუბლიკა, რომელშიაც გერმანია და ავსტრია უნდა შევიდეს. ასეთი რესპუბლიკა, ლიბკნეხტით სათავეში, 24 საათის განმავლობაში მიაღწევს ზავს.

### გერმანიის რადიო სადგურის ცნობა.

გერმანიის სამშობლოს დამცველმა პარტიამ შემდეგი მოწოდება გამოსცა, სადაც ნათქვამია შემდეგი: „საფუძვლიანი შიში გვაქვს რომ რა საშიშარი მომავალი ექნება გერმანიას, უკეთუ შეთანხმების წინადადების თანახმად შეკრავს ზავს და ღრმათ გვწამს, რომ გერმანიის ხალხში კიდევ მოიპოვება დიდი ... საიმპერიო კომიტეტი იმედოვნებს, რომ მიმართავს თუ არა მთავრობა ... ხალხს მოწოდებით ეროვნული თავდაცვისათვის, გერმანიის ხალხი ყველაფერს, რაც კი მას მოეპოვება მოახმარს სამშობლოს დახსნის და მისი არსებობის საქმეს“.

პანგერმანული ლიგა კვირას გამოცემულ დეკლარაციაში არ იწონებს ახალი მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს და უსაყვედურებს მთავრობას, რომ მან გერმანიის იმპერია საშიშარ მდგომარეობაში ჩააყენა. მთავრობამ ვილსონის 14 მუხლიანი საზავო პირობის მიღებით გერმანიის მთავრობის მიერ პირველი ნაბიჯია გერმანიის იმპერიის დაქუცმაცებისაკენ გადადგმული. ახალ მთავრობას პანგერმანული კავშირი მოითხოვს ნაციონალური თავდაცვის მთავრობის შედგენას და მოუწოდებს გერმანიის ხალხს ერთიანობისა და შეთანხმებულ მუშაობისაკენ.

რეიხსტაგში კანცლერის სიტყვის შემდეგ ილაპარაკა დრ ვოლფმა. შემდეგ ილაპარაკა სტატს-სეკრეტარმა გრებერმა. მან განაცხადა, რომ მთავრობის ხელმძღვანელები კავშირთა საბჭოში დაიცავდენ რეიხსტაგის მიერ მიღებულ ზომების ჩქარა განხორციელებას. სამხედრო მინისტრმა შეუხმა განაცხადა, რომ უმრავლესობის წინადადებას არმიისა და ფლოტისადმი არავითარი შეურაცხყოფელი ხასიათი არ ჰქონია. წინააღმდეგ ილაპარაკა კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელმა, რომელიც მკაცრი სიტყვებით შეეხო მოხსენებას. ამის შემდეგ რეიხსტაგის სხდომები გადადებულ იქნა განუსაზღვრელი დროთ.

## ომი და ზავი

**მთლიანი რუსეთი და სოც. დემ.**

დონის სოციალ დემოკრატიულ პარტიის კომიტეტის კრებაზე მომავალ საზავო მოლაპარაკებისა და დემოკრატიის მიზნების შესახებ, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „გერმანიის წინადადებას საზავო მოლაპარაკების შესახებ, უნდა გამოეხმაუროს რუსეთის დემოკრატია და უნდა გამოიწვიოს მასში მისწრაფება ბრესტის ზავის ლიკვიდაციის და რუსეთის აღდგენისა. ვერც პირველი და ვერც უკანასკნელი მიზანი ვერ განახორციელებს საბჭოთა მთავრობა, რომელიც მიზეზია ბრესტის ხელშეკრულებისა და რუსეთის დანგრევის. დასახულ მიზანს ვერ განახორციელებს ვერც სხვა, რუსეთში შექმნილი სახელმწიფოები. სოციალ-დემოკრატია სცნობს წარმომადგენლობითი უფლებას სამშვიდობო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებათ, მხოლოდ იმ მთავრობისას, რომელიც მთელი ხალხის ნებაყოფლობის გამომხატველია და არჩეულია ოთხ-ფორმულიანი სისტემით.

რომ დემოკრატიაში სიცხოველე გამოვიწვიოთ და რომ შეიქმნეს ფართო სამშვიდობო მოძრაობა ომის საკითხის და ყველა ნაციონალური და სოციალური შედეგების ირგვლივ, სოციალ-დემოკრატიამ ამ მოძრაობაში უნდა წამოაყენოს თავისი ლოზუნგათ რუსეთის საერთო დემოკრატიული ცენტრის შექმნა.

რუსეთში ზავის საკითხის ირგვლივ მასსის მოძრაობა სოციალ დემოკრატიამ უნდა დაუკავშიროს საერთაშორისო პროლეტარიატის მოძრაობას და მოითხოვოს, რომ დასავლეთ-ევროპის დემოკრატიამ მოითხოვნილება წაუყენოს თავის მთავრობას—საშუალება მიეცეს რუსეთს მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო

დოში კონფერენციაში თავისი სრულუფლებიანი რწმუნებულის სახით.

სოციალ-დემოკრატია იბრძვის რა, ერთი მთლიანი რუსეთის სახელმწიფოს შექმნისთვის იმ პრინციპით, რომელიც წამოაყენა თებერვლის რევოლიუციამ, გადაჭრით უარყოფს გარეშე სახელმწიფოთა რუსეთის შინაურ საქმეში ჩარევას.

## ყუბანის ოლქი

**ალექსეევის ჯარი და საქართველო.**

მოხალისეთა ჯარის მთავარსარდლის შტაბი აცხადებს, რომ საქართველოს წარმომადგენლებთან მოლაპარაკება შეწყვეტილ იქნა იმ მიზეზით, რომ საქართველომ უარყო გაენთავისუფლებია შავი ზღვის გუბერნიის სოჭის ოლქი თავისი ჯარებისაგან, რომლებმაც ის დაიკავეს უსაბუთოდ.

ვინაიდან მოლაპარაკება შესწყდა, მოხალისეთა ჯარის მთავარსარდლობამ აკრძალა საქართველოში რამე სანოვაგის გატანა. ამ აკრძალვას ძალა ექნება მანამ, სანამ სოჭის ოლქი (1917 წ. საზღვრებამდე) არ იქნება გაწმენდილი საქართველოს ჯარებისაგან და ეს ოლქი არ გადავა შავი ზღვის გუბერნიის საზღვრებში.

## ამხ. მაკარი კანდელაკის ხსოვნას

ქ. ლანჩხუთიდან დეპეშამ ფრიად სამწუხარო ცნობა მოგვიტანა: „მაკარი კანდელაკი გარდაიცვალა“.

თვალები ცრემლებით გევსება, როდესაც კითხულობ დეპეშას. არ გჯერა, მაგრამ იდუმალი ხმა წაგჩურჩულებს:

— მართალია.

მაკარი ერთი ჩუმი პატიოსანი მუშაკი იყო. მას არ უყვარდა მყვირალა ხალხი. ადამიანიდან ის უპირველეს ყოვლისა საქმეს მოითხოვდა.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე იყო.

მან უდროოთ დაამბლა ქ. ლანჩხუთის თვითმართველობასთან ერთად, თავისი ამხანაგ-მეგობრები.

მაკარი ცხოვრების იმ სწორ სარკეს წარმოადგენდა, რომელიც დღეს ასე საჭირო არის ჩვენთვის.

ლანჩხუთის დემოკრატიამ მასში დაჰკარგა ერთი სამაგალითო მუშაკი.

უკანასკნელათ მშვიდობით, პატიოსანო მუშაკო!

შენი კოტე.

## ა. შახატუნიანის დაკრძალვა

კვირას, 27 ოქტომბერს, დაკრძალეს დაშნაკცუტუნის პარტიის ბელადი ა. შახატუნიანი. წესი აუგეს ვანქის ტაძარში. როგორც თვით ტაძარი, ისე მისი გალავანი და ახლო მდებარე ქუჩები სავსე იყო ხალხით. აქვე იყვნენ გარდაცვალებულის სახლობა, და მხლობლები: გენ. ნაზარბეგოვი, სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი საქართველოში არ. ჯამალიანი, გაზ. „ორიზონის“, „აშხატავორის“ და „კავ. სლოვოს“ რედაქტორები, დაშნაკცუტიუნის პარტიის ბიუროს წევრები, საზოგადო მოღვაწეები და სხვ. ხალხში მოსჩანდა აგრეთვე წითელი დროშები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან. წესის აგების შემდეგ კუბო გამოიტანეს გალავანში და პირველი სიტყვა აქ წარმოსთქვა ი. არღუთინსკიმ, რის შემდეგ პროცესია გალობით და სამხედრო მუსიკის ორკესტრით გაემართა ვანქის ქუჩით ბარიათინის ქუჩისაკენ, სადაც „ორიზონის“ და „აშხატავორის“ რედაქციების წინ გადახდილ იქნა მცირე პანაშვიდი. აქ ილაპარაკა „ორიზონის“ რედაქტორმა ვ. ნავსარდიანმა. შემდეგ გოლოვინის პროსპექტისა და სასახლის ქუჩით პროცესია მივიდა საქალაქო სახლთან, საცა მცირე პანაშვიდის გადახდის შემდეგ, ილაპარაკა ს.-რ. პარტიის სახელით ტურაზაანმა. უკანასკნელი პანაშვიდი გადაუხადეს კახეთის მოედანზე. აქ ილაპარაკა გ. იონესიანმა, მუშა ხაჩატურმა და სხვ. ამის შემდეგ პროცესია მივიდა ხოჯივანქის სასაფლაოზე, სადაც მოღვაწეთა პანთეონში, ბ. ტოპჩიანის, ჟურავლის და სხვების სიტყვების შემდეგ, დაკრძალულ იქნა. კუბო სასაფლაომდე მიჰქონდათ მის ამხანაგებსა და მეგობრებს.

## ქალაქის საბჭო

**28 ოქტომბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.

საბჭომ მოისმინა და დაამტკიცა წინა სხდომის ოქმი.

**საქართველო სომხეთის დამოკიდებულება.**

ალ. ლომთათიძე აკეთებს მოხსენებას იმ კონფლიქტის შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს და სომხეთის მთავრობის შორის. აცნობს რა საბჭოს ყველა იმ ნოტების შინაარსს, რომლითაც უპასუხებდენ ორივე მთავრობის წარმომადგენელნი ერთმანეთს ამ ინციდენტის დროს, ლომთათიძე აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობამ მიიღო ზომები, რომ ყოველივე გაუგებრობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა არ მოყოლოდა სისხლის ღვრა და საქმე მშვიდობიან გზით გათავებულიყო. ამავე გზას დაადგა მეორე სახელმწიფო და, ჩვენდა საბედნიეროთ, კონფლიქტი მშვიდობიანი გზით გათავდა. გადაწყვეტილია საზღვრების გამომიჯვნის საკითხი გადაწყდეს მშვიდობიანი მოლაპარაკებით. თუ ვინიცობაა ვერ მოგვარდა საქმე, მაშინ ორივე სახელმწიფო მზათაა არბიტაჟით გადაწყდეს ეს სადავო კითხვა. ის გზა, რომელიც აირჩიეს დემოკრატიულ მთავრობებმა, ერთად ერთი გზა არის საკითხის გადასაწყვეტათ და დემოკრატიულმა საბჭომ უნდა აღნიშნოს, რომ სავსებით იზიარებს მთავრობის მიერ გადადგმულ სწორ ნაბიჯებს და იწონებს საკითხის ასეთ გადაწყვეტას.

იაგჯიანი (დაშ.). დემოკრატიულ საბჭოს არ შეუძლიან არ აღნიშნოს, რომ ისტორიაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ რაიმე სადავო კითხვა ამ ორ ერთა შორის იარაღით გადაწყვეტილიყოს. თუ ეს შესაძლებელი იყო ძველ დროს, ეხლა, როდესაც მთელი ძალა-უფლება დემოკრატიის ხელშია და ორივე სახელმწიფოში სოციალისტური მთავრობაა, კონფლიქტის მოგვარება იარაღის საშუალებით შეუძლებელია. საბჭომ უნდა გამოსთქვას თავისი აზრი, გამოსთქვას სიხარული, რომ საქმე მშვიდობიანი გზით მოგვარდება. საქართველოს სომხის ნაციონალური საბჭო ამავე აზრს იზიარებდა. საბჭომ გაგზავნა ერევანში დელეგაცია, რომელსაც უნდა მიეღო ყოველივე ზომა სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლათ. არ შეიძლებოდა, რომ საბჭო სხვა გზას დასდგომოდა. ამავე აზრს იზიარებდა ჩვენი ფრაქცია.

პ. გოთუა (ნაც. დემ.) ამ სერიოზულ მომენტში დიდის სიამოვნებით მოვისმინე იაგჯიანის სიტყვა. ქართველ ხალხს, რომელსაც მეთაურობს საუკეთესო ნაწილი დემოკრატიისა, არ სურს ომი. დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს საქართველომ ცხადყო მუდმივი ნეიტრალიტეტი. სამწუხაროთ, სომხების ზოგიერთ წრეებმა დაიწყეს აგრესიული მოქმედება. სამწუხარო არის აგრეთვე ის, რომ სომხის მთავრობას თავის პარლამენტიორათ პოლკოვნიკი კარალკოვი გამოუგზავნია, ეს ის კარალკოვია, რომელიც აწყობდა აჯანყებას ბორჩალოს და ახალქალაქში და ჩვენი მთავრობა მას, როგორც პროვოკატორს დაიჭერდა მგონია, რომ ქართველ და სომხის დემოკრატიას არ ესაჭიროება პროვოკატორი შუამავლები. მათ თავიანთ შორის მოეძებნებათ ღირსეული პირები, რომლებიც შესძლებენ ყოველ საკითხის ღირსეულად გადაჭრას. მხოლოდ ერთი რამ უნდა აღვნიშნო, რომ თუ სისხლის ღვრა მოხდებოდა, ამაში საქართველოს მთავრობას არავითარი ბრალი არ დაედებოდა.

ალ. ლომთათიძე აღნიშნავს, რომ ის მოკლებულია საშუალებას ოფიციალურათ აცნობოს საბჭოს ცნობები პოლ. კარალკოვის შესახებ. კერძო ლაპარაკში მეც გადმომცეს, რომ ეს ის კარალკოვია, რომელიც იღებდა მონაწილეობას საქართველოს წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაშიო.

მ. რუხია (ს.-დ.) დემოკრატიის სურვილია, რომ არავითარ უთანხმოებას არ ჰქონდეს ადგილი ერთა შორის, მაგრამ თუ ასეთ მოვლენას აქვს ადგილი, ის უნდა სწყდებოდეს მშვიდობიანი გზით და არა იარაღის საშუალებით. საბჭომ სიამოვნებით უნდა აღნიშნოს, რომ კონფლიქტი მშვიდობიანი გზით დამთავრდა.

რუხიას შეაქვს შემდეგი წინადადება: მოისმინა რა საბჭომ თავის თავმჯდომარის განცხადება იმ უთანხმოების შესახებ, რომელსაც ჰქონდა ადგილი ორივე ერს შორის, საბჭო სიამოვნებით აღნიშნავს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გათავებას და გადადის მორიგ საქმეებზე წინადადება ერთ ხმად იქნა მიღებული.

**ბალშევიკების საქმე.**

ქალაქის თავი ნ. ელიავა აცნობს საბჭოს, რომ მას დავალებული ჰქონდა საბჭოს მიერ აღეძრა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა, რათა უკანასკნელს დაეკმაყოფილებინა ბალშევიკების მოთხოვნილება და წარედგინათ მათთვის ბრალდება. მათი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნა. ბალშევიკებმა თავი დაანებეს შიმშილს. განსაზღვრული ვადის შემდეგ განთავისუფლებული იქნებიან საპყრობილედან და წინადადება მიეცემათ დასტოვონ რესპუბლიკის საზღვრები. შესაძლებელია ზოგი მათგანი დასტოვონ აქ. მე აღვძრავ შუამდგომლობას და მოხერხდება თუ არა ამა თუ იმ პირის აქ დატოვება, ამის თქმა ეხლა ძნელია.

საბჭომ მიიღო მხედველობაში ქალაქის თავის განცხადება.

**იაფი პური.**

ნ. ელიავა აკეთებს მოხსენებას პურის გაიაფების შესახებ: გაზეთებში უკვე იყო ცნობა, რომ 1 ნოემბრიდან ქალაქი დაარიგებს პურს გირვანქას 1 მ. 50 კაპ. თვენახევრის წინათ საბ. და ქალაქ. კავშ. გერმანელების მისიამ მიმართა წინადადებით, რომ ისინი მისცემენ მათ პურს ქალაქთა მცხოვრებლების დასაკმაყოფილებლათ. დადებულ პირობით მცხოვრებლებს სულზე დღეში ნახევარ გირვანქა უნდა მისცემოდათ, გირვანქა 1 მ. 50 კაპ. პურის განაწილების ორგანიზაცია უნდა ყოფილიყო საბჭოს ხელში, ქალაქთა კავშირის და გერმანიის სამეურნეო მისიის ხელში. ყოველ დღე ორი ვაგონი მათი ფქვილი და ორიც ქალაქის მიერ დამზადებული უნდა გამოგვეცხო. უკვე მიღებულია 110 ვაგონი. არის კიდევ იმედი, რომ ცოტა ხანში კიდევ მოვა ხორბალი. პური დაურიგდებათ მცხოვრებლებს ბინის კომიტეტის საშუალებით. განზრახულია გაიხსნას 50 პურის საწყობი დუქანი სხვადასხვა რაიონში. იმედი არის, რომ ქალაქი შესძლებს მიაწოდოს პური მცხოვრებლებს რამოდენიმე თვის განმავლობაში. პურის გირვანქა მ. ნეთ ნახევარში გაყიდვა დასცემს პურის ფასს ბაზარზე. არის იმედი, რომ ქალაქი მიიღებს პურს ყუბანის ოლქიდან და შესაძლებელია თერგის ოლქიდანაც. ქალაქმა პურის ფასი უნდა გადაიხადოს მხოლოდ მისი გაყიდვის შემდეგ. შესაძლებელი იყო ქალაქს პური შეეძინა თავის განკარგულებაში, მაგრამ ამისათვის საჭირო ფული არ აქვს მას. თუ შესაძლებელი გახდა ბანკიდან ფულის აღება საქონლის დაგირავებით, მაშინ სრული პატრონი პურისა ქალაქი იქნებაო.

საბჭომ მიიღო მხედველობაში ქალაქის თავის განცხადება.

**საარჩევნო კომისია.**

საბჭომ აირჩია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მოისმინოს რა მოხსენება ქალაქის მდივნის საარჩევნო მუშაობის შესახებ, გაუკეთოს მოხსენება საბჭოს, სადაც გადაწყდება და მიღებული იქნება კომისიის ფუნქციები. სოც. დემ. ფრაქციის წინადადებით კომისიაში აირჩიეს 15 კაცი. თითო წარმომადგენელი მცირე რიცხოვან ფრაქციებიდან, 4 სოც. დემ. ფრაქციიდან ორ-ორი დაშნაკელი და ესერებიდან.

**ქალაქის მოსამსახურენი.**

საბჭო გადადის მოსამსახურეთა მოთხოვნის განხილვაზე, რომელიც წინა სხდომაზე გაირჩა და საბჭოს დადგენილებით გადაეცა დასკვნისთვის შრომის და ბიუჯეტის კომისიებს. მომხსენებელია ქალაქის თავი.

ნ ელიავა. 23 ოქტომბერს შესდგა კრება შრომის და საბიუჯეტო კომისიების, რომელსაც დაესწრენ მოსამსახურეთა აღმასრულებელ კომიტეტის წევრები. კრების დადგენილებით ეგრეთ წოდებული მე 6 პურის მომატება დარჩება ამავე სახელწოდებით და მოსამსახურეთა მოთხოვნილება, რომ ეს მომატებათ ჩაითვალოს, არ იქნა მიღებული.

არ უნდა გავრცელდეს პურის მომატება დროებით მოსამსახურეებზე, რომლებიც, როგორც დროებით მომუშავენი, გაცილებით მეტს იღებენ ხოლმე, ვიდრე ჩვენი მუდმივი მოსამსახურენი. რაც შეეხება მოსამსახურეთა განცხადებას, რომ ეპიდემიურ ავათმყოფობის „ბარაკებში“ არიან მოსამსახურენი დროებით, უნდა განვაცხადო, შესაძლებელია კერძო შემთხვევებში ხელმეორეთ განხილული იქნას საბჭოს დადგენილება. სალიკვიდაციო და სადღესასწაულო ფულის მიცემის დროს ანგარიშში არ უნდა მიიღოთ მე 6 პურის მომატება. მოსამსახურეთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი იზიარებენ და სდგანან დელეგატთა ყრილობის გადაწყვეტილებაზე. მე, ამბობს ელიავა, იქ, კრებაზე განვაცხადე, რომ ადვილი საქმე იქნება მომატება, მხოლოდ შეიძლებს საბჭო ამ ფულის გაღებას, ეს დიდი საკითხია, იმ დროს, როდესაც მოსამსახურეებს აგვისტოს ჯამაგირი ჯერაც არ მიუღიათ.

მოსამსახურეთა წარმომადგენელი თავის გრძელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ ისინი არ ეთანხმებიან ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილებას. ქალაქის გადაწყვეტილებაში ხედავს შრომის მინისტრის დეკრეტის დარღვევას და მოითხოვს, რომ მე 6 პურის მომატება დარჩეს მომატებათ და იგი შეეხოს აგრეთვე ყველა მოსამსახურეებს.

ქალაქის თავი უპასუხებს რა მოსამსახურეთა წარმომადგენელს, აღნიშნავს, რომ აქ მოსამსახურეთა ინტერესების დამცველათ გამოდის ადამიანი, რომელმაც არ იცის ქალაქის მოსამსახურეთა ცხოვრება. მან განაცხადა, რომ არიან დროებით მოსამსახურენი, რომელნიც ერთ წელზე მეტს მუშაობენო. ეს არ შეეფერება სიმართლეს. ჩვენ ვალდებული ვართ უფრო მეტათ ვიზრუნოთ მუდმივ მოსამსახურეებზე, რომლებიც წარმოადგენენ მუნიციპალურ მოღვაწეებს, გავლილი აქვთ სკოლა საზოგადო მოღვაწეობის და საზოგადო დაწესებულებაში ნაკლებ ჯამაგირიან ადგილებით კმაყოფილდებიან და არ გვტოვებენ. დროებით მოსამსახურე არაფრით არ არის დაკავშირებული ქალაქთან. ის დღეს ჩვენთან არის, ხვალ სადაც მეტს მისცემენ, იქ წავა. უნდა მიიღოთ მხედველობაში, რომ ხშირათ დროებით დაქირავებული მოსამსახურე გაცილებით მეტს იღებს. როდესაც ჩვენი მუშები დღეში 7—8 მანეთს იღებდენ, დროებითი მუშები 15 მანეთზე ნაკლებ არ სთანხმდებოდენ მუშაობას. ქალაქის მოსამსახურეები ამ მეექვსე პურის მომატებას ოქტომბრისას მიიღებენ. ნოემბერში ეს კითხვა გაირჩევა ხელმეორეთ. უნდა მოგაგონოთ, რომ ქალაქს ამ თვეში მოუხდება 800 ათასი მანეთის გაღება, ეს კი ქალაქის ცარიელ კასას არ შეუძლიან შეიძლება დადგეს კითხვა მეშვიდე მომატების, ეს სულ სხვა საქმეა. როდესაც პური გაიყიდება, მეექვსე მომატებაც უნდა დავუკლოთ მოსამსახურეებსო.

გოთუა აღნიშნავს, რომ ქალაქის მოსამსახურეები არ უნდა დაადგნენ ოფიციალურ გზას და დეკრეტის დარღვევას არ უნდა უყაყედურებდნენ ქალაქის მუნიციპალიტეტს. თავის სიტყვაში იგი უსაყვედურებს ქალაქის მოსამსახურეებს, რომლებიც არ ასრულებენ კეთილ სინდისიერათ თავის მოვალეობასო. კამათი შესწყდა.

ნ. ელიავა აღნიშნავს, რომ უსაფუძვლოა ხმოსან გოთუას განცხადება იმ დროს, როდესაც ყველგან ანარქია მძვინვარებდა, ქალაქის მოსამსახურეები კეთილ სინდისიერათ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, იმისდა მიუხედავათ, რომ 3 თვის ჯამაგირებიც არ მიეღოთ. იყო, რასაკვირველია, შემთხვევები კერძო გამოსვლების, მაგრამ მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტი ყოველთვის ცდილობდა არავითარ კონფლიქტს არ ჰქონოდა ადგილი. აღმასრულებელი კომიტეტი ღირსია მადლობისო. საბჭომ ერთხმად მიიღო ქალაქის გამგეობის და შეერთებულ სხდომის დადგენილება.

**მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევის საკითხი.**

ნ. ელიავა მოახსენებს საბჭოს, რომ საქართველოს პარლამენტის დადგენილებით ქალაქის თვითმმართველობებმა უნდა აირჩიონ მომრიგებელი მოსამართლეები. ჩვენ მივიღეთ იუსტიციის მინისტრისაგან წინადადება, რათა დაუყონებლივ არჩეული იქნას თბილისისთვის 22 მომრიგებელი და საპატიო მოსამართლენი. საჭიროა საბჭომ აირჩიოს სარეკომენდაციო კომისია, რომელიც გაარჩევს მსურველთა სიას. საბჭომ მიიღო წინადადება ქალაქის თავის. აირჩია 15 ხმოსანი სარეკომენდაციო კომისიაში.

**კერძო მესაკუთრეთა მამულების იძულებითი ჩამორთმევა ქალაქის საჭიროებისათვის.**

საბჭომ მიიღო ამ პროექტის ხუთი მუხლი და რადგანაც 11 საათზე დარბაზში ქვორუმისთვის საკმაო რიცხვი არ აღმოჩნდა, თავმჯდომარე აცხადებს კრებას დახურულად.

## კოოპერატივები სოფლად

კოოპერატივები სოფლად ერთობ გამრავლდენ ზოგ საზოგადოებაში ერთი კოოპერატივით არ კმაყოფილდებიან და ყოველი კუთხე თავისთვის აარსებს კოოპერატიულ საჭურჭლოს. ამ ჟამად ჩვენში აუარებელი დამოუკიდებელი კოოპერატივებია. ბევრი ისეთიც კი არსებობს, რომ მისი არსებობა ჯეროვან ცნობაში არ არის მოყვანილი. ერთის შეხედვით მათი ასე მომრავლება სასიამოვნოც არის, მაგრამ თუ მათ ცხოვრებას ჩავუკვირდებით, სოფლის კოოპერატივებში იმდენ მახინჯ მოვლენებს ვხედავთ, რომ სიხარული მწუხარებათ იქცევა. კოოპერატივთა ასე მომრავლება სრულებით არაა გამოწვეული კოოპერატიულ იდეის მომწიფებით. პირიქით, ეს მრავალი საჭურჭლოები თანდათან კერძო ვაჭრულ სახეს ღებენ და მდგომარეობამ ცოტა ხანს თუ ასე გასტანა, ბევრი მათგანი უეჭველად გაქრება. დამოუკიდებელ კოოპერატივთა „დამოუკიდებლობა“ იმდენათ ღრმა და ძლიერია, რომ მეზობელ კოოპერატივებმა არაფერი იციან ერთმანეთის ეკონომიური თუ იდეიურ მდგომარეობის. ამ მხრით მათ ვერც მრავალ სამაზრო, საგუბერნიო და სარესპუბლიკო კავშირებმა უშველეს. ეს კავშირები მათთვის მარტო საშუალებაა საქონლების შესაძენათ და რაკი კავშირები უძლური არიან იშოვონ საქონლის საჭირო რაოდენობა, ისინიც კარგავენ პატივისცემას სოფლის კოოპერატივთა წინაშე. ზოგან ამ კავშირებს არც კი ემორჩილებიან და კოოპერატივის წესდება წესდებადვე რჩება. ამრიგათ, თავაშვებული კოოპერატივები თუ როგორ მოქმედებენ, არც ერთმა კავშირმა არ უწყის. ეს კოოპერატივებიც ისე მოქმედებენ, როგორც ჰკუაში გაუჩნდებათ მათ გამოუცდელ გამგეობას.


## მეოთხე რაიონის კოლექტივი

კვირას, 3 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე ბიუროს ბინაში (მე-6 სავაჟო გიმნაზია, უდელის ქუჩა, № 3) იწვევს აღნიშნულ რაიონის ს.-დ. პარტიის წევრთა

# საზოგადო კრებას

(ეს კრება გაგრძელებაა მეორე კრებისა)

განსახილველია: 1) მომავალ საოლქო ყრილობის დღის წეს-რიგი,
2) დელეგატების არჩევა ყრილობაზე გასაგზავნათ.

ყრილობის კითხვების შესახებ მოწვეულია სპეციალური მომხსენებელი.

ვსთხოვთ წევრებს უსათუოდ დაესწრონ კრებას.

კოლექტივის პრეზიდიუმი.


სურვილი ყველგან ერთია: საქონლების იაფად გაყიდვა და დიდი მოგება. თუ რომელიმე გამგეობამ ეს ვერ მოახერხა, მას უმალვე ცვლიან და კოოპერატივის გაქურდვას დააბრალებენ. ამას სჩადის უმრავლესობა. უმცირესობა ზოგან ცდილობს მთლად იდეიური იყოს, მაგრამ ამას ვერ ახერხებს და ისე ქრება, როგორც ღარიბი სკა.

შეხვდებით ასეთ შემთხვევასაც: კოოპერატივს სიიაფის დროს უყიდია საპონი ან შეშეულობა. მაშინ ცალი ბაზარზე ფასობდა 20 კ., ამჟამად 5—8 მანეთს. კოოპერატივს დარჩენია სულ, რამდენიმე ცალი, რამდენიმე დღის შემდეგ 5—8 მ. უნდა იყიდოს ასეთივე საქონელი ცალი, მაგრამ იგი მაინც 25 კ. ყიდის მას ამ გზითუვაჭრია დაჰმისი ქონება მარტო პაპიროსებზე დამდგარა. ეუბნები: ცოტათი მაინც შეუფარდე ფასები ბაზრის ფასსო, მაგრამ იგი მაინც ჯიუტობს,—ხალხი გაწყრება, რომ 10 პროც. მეტი გადავუმატოთ. ამ გზით კოტრდება მრავალი კოოპ. მეორეს მხრით არის მთელი რიგი კოოპერატივებისა, სადაც გაჩაღებულია ვაჭრობა წინდაწინ ვაჭრულ წესზე, გამგეობა ცდილობს კოოპ. სახელწოდება არ მოიშალოს და მანეთზე 50 კ. ან მეტს იღებს. ერთი ამბობს: მე ვაჭრულად გავჩაღდები, მეორე—იდეიურად მოვკვდებიო. ერთი საშუალო გზა ვერ მოუნახავთ. კავშირები, რომელნიც მოწოდებული არიან ეს გზა გაუნათონ პატარა კოოპერატივებს, არსად სჩანან. ხანდახან თუ დაგზავნიან მოწერილობებს,—თუ ამა და ამ დროს არ წარმოადგინე საწევრო გადასახადი, კავშირიდან გამორიცხული იქნებიო. ზოგ შემთხვევაში კავშირი პროვინციალურ პოლიტიკასაც აწარმოებსო, ამბობენ. რამდენადაც ვიცით, ამ. კავკ. კოოპ. კავშირს დიდ-ჯამაგირიანი ინსტრუქტორებიც კი ჰყავს, ესენი კი თავს არ იწუხებენ პატარა კოოპერატივთან მისვლით და უფრო ცენტრებს სწყალობენ.

თუ რომ იგი დაინტერესებულია კოოპ. იდეიურ აღორძინებით, მან უნდა დანიშნოს იმდენი და ისეთი ინსტრუქტორები, რომლებიც ანბანური ჭეშმარიტებას გაუთვალისწინებენ სოფლის კოოპერატორებს. თუ ეს ასე მოხდა და სოფლელებს შეაგნებინეს კოოპ. მნიშვნელობა, მაშინ სოფლელები ნივთიერადაც გააღონიერებენ ღარიბ კოოპერატივებს, მაშინ კავშირსაც მეტი საშუალება ექნება, საქონელს მეტს შეიძენს და ამით კოოპ. იდეაც ფეხზე დაადგება.

არ. ფანცულაია.

## თბილისის კოოპერატიული სასადილო

**გაფიცვა.**

ეს სასადილო დაარსდა 1916 წ. აგვისტოში და დღემდის დიდს სამსახურს უწევს ღარიბ და საშუალო შეძლების ინტელიგენციას და მოხელეებს, რადგანაც სადილები შედარებით სხვა სასადილოებთან გაცილებით პირიან ფასებში იძლევა და სუფთადაც მზადდება, რისთვისაც მთელი იქ მოსადილე ხალხი მადლობელია.

ამას გარდა დღემდე აქ 35 კაცამდე მსახურთ მუქთად აქვთ სადილი და საუზმე. ასე რომ ეს სასადილო ამ საშინელ დროში დიდ სიკეთეს წარმოადგენს როგორც მშრომელ ინტელიგენციისთვის, აგრეთვე თვით შიგ მოსამსახურეთათვის. ამისდა მიუხედავათ მსახურთა შორის, ნამეტნავათ მზარეულებში, გამოერივნენ თითო-ოროლა ისეთი პირნი, რომელნიც თითქოს განგებ, ან იქნება გარეშე პირებისაგან წაქეზებით, ცდილობენ თავიანთი გამოსვლებით ძირი გამოუთხარონ ამ ფრიად სასარგებლო საზოგადო დაწესებულებას. წარსულ სექტემბერში ორჯერ ზედიზედ გამოაცხადეს გაფიცვა და სასადილოს ამით დიდი ზარალი მიაყენეს. მეორე გაფიცვაში, რომელიც მოხდა 1 ამა ოქტ., ჩაერია გუბერნიის კომისარი როგორც იყო, მოსპო იგი. ორმა ზედიზედ გაფიცვამ მოსიარულე ხალხს გული აუცრუა და ეხლა ნაკლებად დაიარება. გაფიცვების გამო ზარალი 3 ათას მანეთამდე აღწევს. შეიძლება, თუ ასე გაგძელდა საქმე, სასადილო სრულებითაც დაიხუროს და ამით იზარალებენ თვითონ მოსამსახურენი, რადგანაც ამ უმაგალითო კრიზისის დროს სასადილო მათთვის ერთად ერთი წყარო ცხოვრებისა. ამას გრძნობს მსახურთა უმრავლესობა, გარდა ორიოდე თავზე ხელაღებული პირისა, და ამიტომაც წინააღმდეგნი იყვნენ გაფიცვების, ხოლო დაშინებით და ძალადობით შეიწყვეტინეს მუშაობა.

საჭიროა აქ აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ორ გაფიცვის დროს გაფიცულებმა მოითხოვეს პურის და შაქრის მიცემა, რაიც დღემდის არ ეძლევათ. შარშან და შარშან წინ, როცა სიუხვე იყო ეძლეოდათ პურიცა და შაქარიც, ხოლო წელს, როცა ეს საგნები ნამეტანი გაძვირდა და სასადილოსთვის შეუძლებელი გახდა მათი ყიდვა, მოესპოთ როგორც მათ ისე გარედან მოსიარულე წევრთაც. პურის და შაქრის მიცემა ამ წლის დასაწყისშივე ნიშნავდა სასადილოს დახურვას, რადგანაც სასადილო ისედაც ერთობ დაზარალდა ორ ძველ გამგეობის ხელში. ამიტომაც მეტი გზა არ იყო, ორ ბოროტებას შორის უმცირესი უნდა აგვერჩია. თუ პურსა და შაქარს მივცემდით მომუშავეთ, სასადილო უეჭველათ უნდა დაკეტილიყო, რადგანაც ისედაც დავალიანებული ამოდენა ხარჯს ვერ აიტანდა. ჩვენ ვარჩიეთ უსახსრობისა გამო პური და შაქარი არ მიგვეცა, რომ სასადილოს განეგრძო არსებობა. სამაგიეროთ მაისში მუშების მოთხოვნის თანახმათ მიუმატეთ ყველას ჯამაგირის ორმოცდა ათი პროცენტი. საყურადღებოა, რომ მომუშავეთ მაშინ მარტო ჯამაგირის მომატება ითხოვეს და პურზე და შაქარზე კრინტიც არ დაუძრავთ. მაგრამ გავიდა ამ მომატების შემდეგ ერთი თვე თუ თვე ნახევარი და მოგვახალეს ახალი მოთხოვნილება, გინდათ თუ არა, პური და შაქარიც უნდა მოგვცეთო. ჩვენ უარი უთხარით და თანაც შევპირდით, რომ თუ გაუმჯობესდა სასადილოს მდგომარეობა და შემოსავალმა იმატა, ფქვილს ვიყიდით, რადგანაც გამომცხვარი პურის ყიდვა აუტანელია და ჩვენს სამზარეულოში გამოვაცხობთო. სწორეთ ამ მიზნით, ე. ი. რომ გადიდებულიყო შემოსავალი და საშუალება მოგვცემოდა ფქვილის შეძენისა, სასადილოს გამგეობამ პირველ ოქტომბერს მოაწყო ვახშამი, მაგრამ მზარეულებმა აღარ გვაცალეს, ორ სექტემბერს მოაწყვეს გაფიცვა და ჩაგვიშალეს ვახშამი, რითაც თავისავე საზარალოთ მოგვისპეს საშუალება შემოსავლის მომატებისა.

შემდეგ გამგეობა შეეცადა სადილებზე ფასების აწევით მაინც გაედიდებინა შემოსავალი. პირველ ოქტომბრიდან დაინიშნა ცოტა მომატებული ფასები, მაგრამ დახეთ უკუღმართობას? სწორედ ამ დღეს მოაწყვეს კიდევ გაფიცვა და ამ ჟამად ნაწილობრივად ცეცხლზე ნავთი დაგვისხეს: გაფიცვებით გაბეზრებული ხალხი ნახევრობით ჩამოგვეცალა, სხვა სასადილოებში დაიწყეს სიარული და ეხლა სასადილო სულს ღაფავს. საქმე იქამდის მივიდა, რომ ჯამაგირებსაც ვეღარ ვუხდით თავის დროზე მომუშავეებს, რამეც თუ პური და შაქარი უყიდოთ. თვით მომუშავენი ეხლა დიდ სინანულში არიან. როგორც ზევითაც ვსთქვი, ეს სასადილო მომუშავეთა უმრავლესობისთვის უმთავრესი საშუალება ცხოვრებისა. სასადილოს დახურვა ნიშნავს ამ სიძვირის დროს მათ სიმშილით სიკვდილს ლამის ისე გამოვიდეს „მევრის მდომმა ცოტაც დაჰკარგაო“.

გამგეობის წევრი ს. წერეთელი.

## რუსეთის ცხოვრება

**ქალები და ბავშვები მძევლებათ.**

ბელგრადი, 23 სექტემბერი. მოსკოვიდან იტყობინებიან, რომ იქ კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლ საგანგებო ბიუროს განკარგულებით ატუსაღებენ დამალულ აფიცრების, ბანკირების და კომერსანტების ცოლებს და შვილებს, ძალას ატანენ მოიძიონ თავიანთი ქმრები და მამები და თუ უარს იტყვიან, ხვრეტენ. (უ. დ. ს.)

**„სიტყვის თავისუფლება“.**

სარატოვში ქუჩებში გამოკრულია განცხადება, რომელსაც ხელს აწერს კონტრ-რევოლიუციასთან მებრძოლი ადგილობრივი ბიუროს თავმჯდომარე გენკინი, სადაც ნათქვამია ყველას საყურადღებოთ, რომ ყველა, ვინც გაბედავს საბჭოთა მთავრობის კრიტიკას, შეპყრობილ იქნება და გაუსამართლებლივ დაიხვრიტება.

**ვის ეყრდნობიან ბალშევიკები?**

შენიშვნაში, რომელსაც სათაურად აქვს „ჩინელები—სალდათებია რევოლიუციის“, პეტროგრადის გაზეთი „პრავდა“ შემდეგს სწერს: „იოკუნაია პრავ

და“ (№ 4) იტყობინება, რომ უკანასკნელ ბრძანების დროს რეჟიან, სადაც ბევრმა როტებმა სირცხვილი ჭამა და გამოიქცნენ—მხოლოდ ჩინელები იქცეოდენ კარგად და მათ ბევრჯელ გამოუსწორეს საქმე. ჩინელების სიმტკიცეზე და რევოლიუციონერობაზე ლაპარაკობს ყველა ამხანაგი, ვისაც კი უნახია ისინი ბრძოლებში“.

**ტროცკის „ამნისტია“ ჩეხო სლოვაკებს.**

„იზვესტიას“ 18 სექტემბრის № ში მოთავსებულია ტროცკის მოწოდება, საცა ის მიმართავს ჩეხო სლოვაკებს გადმოვიდნენ მის მხრაში. ვინც გადავა, ტროცკი ჰპირდება, რომ მათ უფლება ექნებათ თავისუფლად ცხოვრებისა რუსეთში, როგორც ცხოვრობენ სხვა მოქალაქენი რუსეთისა.

**საბჭოთა კალმოსნების ჯამაგირები.**

კომისარ პოდბელსკის მოხსენების თანახმად ც. აღმ. კომ. პრეზიდიუმმა დაამტკიცა შემდეგი ჯამაგირები საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მოღვაწეებისა: ყოველდღიური გამოცემების პასუხისმგებელი რედაქტორები იღებენ თვეში 12 ათას მანეთს და 1 მ. 50 კ. სტრიქონში. ყოველკვირეულ გამოცემათა რედაქტორები—8 ათას მანეთს თვიურად და 600 მ. დაბეჭდილი ფურცლიდან. განყოფილებათა გამგეებს—8 ათასი მანეთი თვიურად და 1 მ. სტრიქონში. ხრონიკორებს 3 ათასი მანეთი თვიურად და 60 კ. სტრიქონში. კორექტორებს—დღისით 3 ათასი მან. თვეში—ღამით 4500 მანეთი, მეტრანპაჟ 5 ათასი მანეთი.

**სამეცნიერო ხარისხების მოსპობა.**

„სოვნარკომის“ დეკრეტის ძალით მოსპობილია პროფესორების, მაგისტრების და დოქტორების ყველა სამეცნიერო ხარისხები.

**ბავშვების დაცვისათვის.**

ბავშვების სიკვდილი ველიკორუსიაში მეტად გახშირდა. მარტო ივლისში პეტროგრადში (ჯერ სავსებით გამოურკვეველია სტატისტიკური ცნობებით) მოკვდა 4,734 ბავშვი სასკოლო ხანამდე. საერთო რიცხვი მკვდარი ბავშვებისა უდრის 60 ათასს. იხოცებიან უმთავრესად ბავშვები საშუალო ინტელიგენტების, მასწავლებლების, საერთოდ, ეგრეთ წოდებული „მესამე ელემენტისა“. ამის მთავარი მიზეზი შიმშილობაა. ქალაქთა კავშირის პეტროგრადის საოლქო კომიტეტმა გამოჰყო ცალკე კომისია, რომელმაც მიჰყო ხელი ბავშვების გადასახლებას ჯერ ციმბირსა და ურალში, მაგრამ აღმოსავლეთის ფრონტის გაჩაღებისთანავე დაიბადა აზრი უკრაინაში გადასახლებისა. ადესაში დაარსდა ფონდი „ბავშვების შიმშილისაგან გადარჩენისა“. ევაკუაციისათვის საჭიროა ერთ ნახევარი მილიონი მანეთი.

**კოოპერაციის წინააღმდეგ**

რუსეთის კომუნისტური მთავრობის სულის ჩამდგმელები ახლა კოოპერაციას მიადგნენ. თუ ველიკორუსეთი ეკონომიურათ სულ არ დაიღუპა—ეს უმთავრესათ კოოპერაციას მიეწერება. ამ დღეებში „სოვნარკომში“ მოხსენება გააკეთა ფინანსების კომისარმა, საცა ის აზრი გაატარა, რომ საჭიროა მოსკოვის სახალხო ბანკის ნაციონალიზაცია მოვახდინოთო, კოოპერატორებსა და სოვნარკომის შუა ამის თაობაზე გაიმართა მოლაპარაკება, ჯერ ჯერობით ბოლშევიკები დაჰყაბულდენ იმით, რომ ამ სახალხო ბანკში, რომელიც კრედიტს უხსნის რუსეთის თითქმის ყველა კოოპერატიულ კავშირებს, თავის კომისარი დანიშნეს.

**დამშეული რკინის-გზელები.**

სრულიად რუსეთის რკინის გზელთა კავშირის ცენტრალურ სასურსათო ბიუროს ყოველ-დღე მოსდის ცნობები სხვადასხვა რიგის მუშა მოსამსახურეებისგან, რომ ისინი მშიერნი იხოცებიან. მაგალითათ კანეშმიდან იტყობინებიან, რომ იქ რკინის გზის მოსამსახურეებმა მიიღეს ივნისსა და ივლისში სულ 5 გირ. ფქვილი და აგვისტოში კი არც ერთი. რჟევიდან სწერენ, რომ აგვისტოს 1 გირ. პური მიიღეს და მეტი არაფერი. ამის გამო რკინის გზებზე ხდება მასიური უწესოებანი და გაფიცვები.

**ინტელიგენტთა ახალშენები.**

გაზეთი „მირი“ იტყობინება, რომ მოსკოვში შესდგა ინტელიგენტთა კავშირები, რომელთაც აზრათ აქვთ მოაწყონ დამოუკიდებელი ახალშენები—კომუნები, ამისთანა იდეა უმთავრესათ აგრონომებს იტაცებთ, რომელთაც სურთ შექმნან საჩვენებელი კოლექტიური სამეურნეო ახალშენები.

# რკინის გზაზე

16 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, სადგურ გრაკალში შემდეგი ამბავი მოხდა: სადგურის პირველ ლიანდაგზე იდგა საბარგო მატარებელი № 332, ამავე დროს სადგურ მეტეხიდან მოდიოდა სამხედრო მატარებელი, რომელიც სადგურის მეორე ლიანდაგზე შემოდიოდა; ამ მატარებელს სხვათა შორის ერთი სამგზავრო ვაგონი მესამე კლასისაც ება, რომელშიაც ისხდნენ გერმანელი აფიცრები. რადგანაც სამხედრო მატარებლების სადგურებზე გაჩერება უმიზეზოთ აკრძალულია, ამისთვის სადგურის უფროსის თანაშემწემ, მორიგე მ. ვაჩეიშვილმა მატარებელს ადრევე გაუმზადა კვერთხი. ორთქლმავალი სადგურს რომ დაუახლოვდა, მორიგემ მემანქანეს კვერთხი გადასცა და უთხრა პირდაპირ წასულიყო; მემანქანემ წასასვლელი „სვისტოკი“ მისცა. მორიგე შევიდა სადგურში და მოსთხოვა სადგურ მეტეხს კვერთხი მეორე საბარგო მატარებლისთვის, ამოიღო კვერთხი „აპარატიდან“, ჩასწერა მაგიდის წიგნში საათი და წუთები მატარებლების წასვლისა და „ცენტრალიზაციის“ საშუალებით მოაბრუნა ისარი და გაამზადა გზა პირველი ლიანდაგიდამ მატარებლის გასასტუმრებლად. ამ ხნის განმავლობაში სამხედრო მატარებელი უნდა გასცილებოდა სადგურს, მაგრამ საუბედუროთ, ეს ასე არ მოხდა; მატარებელი ნამეტანი გრძელი გამოდგა, 50 საბარგო ვაგონი ება ორთქლმავალს და 2 სამგზავრო გრძელი ვაგონი (სამხედრო მატარებელი 35—40 ვაგონს არ უნდა აღემატებოდეს). ისრის გადაბრუნებამ პირველ ლიანდაგში მოასწრო რამდენიმე ვაგონს, რომლებიც ლიანდაგს გადასცდენ: ერთი პირველი კლასის სამგზავრო ვაგონი და ორიც საბარგო ცხენებით დატვირთული.

რადგანაც მატარებელი ნელა მიდიოდა, ამისთვის მალე იქნა შეჩერებული. სამგზავრო ვაგონში ჩვენი ქართველი აფიცრები იყვნენ, რიცხვით ექვსი კაცი. ჯერ ვაგონების ჩაცვივნის მიზეზი გამოკვლეული არ იყო, რომ იმ ვაგონიდამ გაისმა ქოქა-ქუხილი: სადგურის უფროსია დამნაშავე და ის არის სასიკვდილო, აქ მოიყვანეთ, სად არისო.

მოძრაობის აღსადგენად ზომები მალე იქნა მიღებული. რკინის გზის ოსტატმა ივ. ნავროზაშვილმა მესამე და მეოთხე ლიანდაგი გასწმინდა, გზა შეასწორა და ნახევარ საათში ორი ლიანდაგი მოძრაობისთვის მზათ იყო. სადგურის უფროსმა ჩიტაშვილმა ამავე დროს ორივე მატარებლები, მესამე და მეოთხე ლიანდაგზე გადაიყვანა და ერთ საათში საბარგო მატარებელი № 332 გაისტუმრა თავის დანიშნულებისამებრ, მაგრამ სამხედრო მატარებლის გასტუმრება გაძნელდა, რადგანაც ჯარის უფროსმა ჩახავამ კატეგორიულად განაცხადა, რომ მანამ ჩაცვივნული ვაგონების მაგიერს არ მისცემენ, ფეხს არ მოიცვლის აქედან. სამხედრო მატარებელში 2 ბარგის ვაგონი სრულიად ცარიელი აღმოჩნდა, რომლებშიაც ნახევარი საათის განმავლობაში ცხენები მოვათავსეთ, მაგრამ აფიცრებს ვერაფერი ეშველა. სადგურის უფროსმა სთხოვა, რადგანაც სადგ. მიხეილოვი ახლო იყო, იქამდის როგორმე ჯარისკაცებთან ერთად წასულიყვნენ აფიცრები და იქ ვაგონს გაუმზადებდენ სადგურის უფროსის დეპეშის თანახმად; ამაზედ ბ. ჩახავამ განაცხადა, რომ მანამდის მის მოთხოვნილებას სავსებით არ დააკმაყოფილებენ, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლიო, საქმემ სერიოზული ხასიათი მიიღო.

სადგურის უფროსმა და რკინის გზის ოსტატმა სთხოვეს გერმანელ აფიცრებს, რომ მათ თავიანთ ვაგონში 6 ჩვენი აფიცერი მიეღოთ, რადგანაც მათთვის ვაგონი არ იყო და მატარებელს დიდხანს მოუნდებოდა სადგურზე დგომა. გერმანელებმა თანხმობა განაცხადეს და ჩვენმა აფიცრებმაც დაიკავეს გერმანელებისგან დათმობილი ახალი ალაგი და 2 საათის და 40 წუთის შემდეგ მატარებელი წავიდა. მატარებლის ჩავარდნით არც ხალხი, არც ვაგონები და არც გზა არ დაშავებულა. მთელი ზარალი რკინის გზისა 200—300 მანეთს არ აღემატება; ბ. აბელოვ ს (მოძრაობის უფროსის) დეპეშის თანახმათ, მორიგე ვაჩეიშვილი სამსახურიდან გადაიყვანეს. ამ საქმის გამოძიებაში მონაწილეობა უნდა მიეღო კავშირის წარმომადგენელს, თანახმად რკ. გზის ყრილობის დადგენილებისა, ეს კი სამწუხაროდ, არ მოხდა და გამოძიებას აწარმოებდა მხოლოდ მოძრაობის რევიზორი ბ. თუხარელი.

ახალი ხით.

# მუშათა შორის

გორი. ამ კურთხეულ გორში ცოტა გვყავს შეგნებული მუშები, მაგრამ როგორც ეს ხარაზები არიან ჩამორჩენილი ყოველივე საზოგადო საქმეს, არა მგონია სხვა იყოს. აქ არსებობს ხარაზების რამდენიმე სახელოსნო და თითო სახელოსნოში ოთხი ხუთი მუშა მაინც მუშაობს, მაგრამ საუბედუროთ, ისინი არარაობას წარმოადგენენ. მათ არ აინტერესებთ ჟურნალ გაზეთების კითხვა, არც კრებები და ლექციები.

მათი საქმეა მხოლოდ ღვინო და სამიკიტნოები, თუ დრო იშოვეს, იმ წუთში მირბიან სამიკიტნოში. არა, ძმებო, საქმე ის კი არაა, რომ თქვენი რამოდენიმე საათის თავისუფლება მოახმაროთ სამიკიტნოებში ქეიფს და ფულების ფლანგვას; არა, საქმე ის არის, რომ ის თავისუფალი დრო მოანდომოთ ჟურნალ-გაზეთების კითხვას, ლექციებზე და კრებებზე სიარულს, რომ ცოტა რამ მაინც გაიგოთ, შეიგნოთ. ზოგიერთს თქვენთაგანს კი არა, უმრავლესობას სასაცილოდ ც არ ყოფნის ეს საზოგადო საქმე, კრებები და სხვა. ბევრჯელ მსმენია, რომ უთქვამთ,—რა გაგვიკეთა კრებებმა და ლექციებმაო. აბა ერთი მითხარით, რა უნდა გაგიკეთოთ, როდესაც უმრავლესობას თქვენგანს არც კი ესმის, რა არის კრება, ან ლექცია. და ეს იმიტომ, რომ არ დადიხართ, არ გაინტერესებთ გაგოთ მისი მნიშვნელობა და სხვა. სადიდან გეცოდინებათ, ესეც სათქმელია,—იქ რომ წახვიდეთ, მერე ღვინო ვინ დალიოს? ცოტათი მაინც ჩაუკვირდით თქვენს საქციელს, თუ რას ჩადიხართ და თვითონვე მიხვდებით. დროა თავი დაანებოთ სალათას ძილს, კმარა ამდენი ძილი, გადახედეთ სხვა ქვეყნის მუშებს, როგორ იქცევიან და ცოტათი მაინც მიბაძეთ მათ. გამოიწერეთ მუშათა ინტერესების დამცველი გაზეთები, იკითხეთ, ხშირათ დაესწარით კრებებს და ლექციებს, თუ გინდათ სულიერი საზრდო შეიძინოთ. დაგმეთ ეგ სამარცხვინო საქციელი და ნაცვლათ მაგისა, ჩაებით საზოგადო ფერხულში.

ტანჯული ქალი.

# ს.-დემ. პარტიაში

ჭიათურა. 8 ოქტომბერს შესდგა, სოც. დემ. კომიტეტის წლიური კრება. თავმჯდომარემ გააკეთა მოხსენება პარტიულ მუშაობის შესახებ და აღნიშნა ის მიზეზები, რომლებიც აბრკოლებდენ პარტიულ მუშაობას.

ჭიათურის სოც.-დემ. კომიტეტი ხელმძღვანელობს ორ რაიონს ჭიათურისა და საჩხერისას. შეძლებისა და გვარად კომიტეტი გზავნიდა სოფლად პროპაგანდისტებს, არჩევნების დროს უსახსრობის გამო კი დაქირავებული პროპაგანდისტი ერთის მეტი არ ჰყოლია, რომელსაც უხდებოდა ორ რაიონში მუშაობა.

პროვინციებში იყო კომიტეტის 5 კოლექტივი, რომლებიც ეწეოდენ მუშაობას სოფლად, მაგრამ საჩხერის ანარქიის შემდეგ შესწყვიტეს მუშაობა. ახლა ვცდილობთ აღვადგინოთ სოფლად კოლექტივები. მიმდინარე მომენტზე მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. პლატონ მოდებაძემ. ჭიათურის კოლექტივის შესახებ კრებამ დაადგინა, გაუქმდეს ჭიათურის კოლექტივი, ქონება კოლექტივისა გადაეცეს კომიტეტს, პროვინციებში, როცა აღსდგება ორგანიზაციები, ისინი გამოგზავნიან თავიანთ წარმომადგენელს კომიტეტში, თანასწორი უფლებით. დადგენილი იქნა საწევრო გადასახადი 1 ოქტომბრიდან გადიდებულ იქნას ერთ მანეთამდე.

სარევიზიო კომისიამ მოხსენება გააკეთა ანგარიშების შესახებ და აღნიშნა, რომ ანგარიშები, როგორც კოლექტივის, აგრეთვე კომიტეტისა, სისწორით არის ნაწარმოები და შემოსავალ გასავალს თანვე ახლავს გასამართლებელი საბუთები. კრებამ ერთხმად დაამტკიცა იგი. . X.

# პროვინცია

ხიდისთავი (გურია). ხიდისთავში აფთიაქი გაიხსნა 1902—1903 წლებში. საზოგადოების სურვილი იყო აფთიაქი თვით საზოგადოებას გაეხსნა და არა კერძო პირებს, და ამის სისრულეში მოსაყვანათ საზოგადოებას არ დაუზოგავს არაფერი, როგორც ფულით, ისე თავისი შრომით და მეცადინეობით. საზოგადოების მეტოქეთ აქ გამოვიდნენ კერძო პირები, რომლებმაც არავითარი ანგარიში არ გაუწიეს საზოგადოების სურვილებს, ისარგებლეს მაშინდელი შექმნილი პოლიტიკური უფლებებით, და რადგანაც კერძო პირებს მაშინ უფრო მეტი გასავალი ჰქონდათ მთავრობის აგენტებთან, ვინემ საზოგადოებას, მოახერხეს აფთიაქის გახსნის უფლების ხელში ჩაგდება. რევოლიუციის პირველ დღეებიდან აფთიაქის მეპატრონეებსაც წაერთვათ თავისი პრივილეგიები. აფთიაქის პატრონი ნ. გიგილაშვილი ატყობინებს წერილით აფთიაქს მოიჯარადრე ივანე ანდღულაძეს და ხიდისთავის ფერშალს სერაპიონ რამიშვილს, რომ ის თანხმაა საზოგადოებას უფასოთ დაუთმოს აფთიაქის უფლება. მაგრამ მოიჯარადრე ივანე ანდღულაძე და სერ. რამიშვილი სცდილობენ, რომ საზოგადოებას არ დაუბრუნდეს ეს უფლება, რომლებმაც გიგილაშვილისაგან მიღებული წერილი დამალეს მთელი ექვსი თვის განმავლობაში, ე. ი. მანამდე, ვიდრე ყველა მათი ოინები არ გამოაშკარავდა. და რომ უხერხულ მდგომარეობიდან გამოსულიყვნენ, მიმართეს ნაცად ხერხს, დაიწყეს ჭირების გავრცელება, თითქოს მე, როგორც მაშინდელმა რევ. კომიტეტის თავმჯდომარემ ვიცოდი წერილის შინაარსი. თითქოს ეს იცოდენ რევ. კომიტეტის და სოც. დემ. ორგანიზაციის წევრებმაც, მარა განზრახ დავუმალეთ საზოგადოებას და სხვა. მე კატეგორიულათ ვაცხადებ, რომ არავითარი ამის მზგავსი განცხადება მათგან არ ყოფილა, რასაც დაამოწმებენ ორგანიზაციის წევრები და რაც უკვე დაამოწმა საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილმა კომისიამ. ვკითხები აფთიაქის მოიჯარადრე ივანე ანდღულაძეს და სერ. რამიშვილს, რათ დამალეთ მთელი ექვსი თვის განმავლობაში გიგილაშვილისაგან მოწერილი წერილი?

რატომ სდუმდით ამდენი ხნის განმავლობაში? მიზეზი თქვენი სიჩუმისა ჩემის აზრით ის იყო, რომ არ გსურდათ თქვენ ბატონობას ბოლო მოღებოდა.

ეს მაინც მოხდა, საზოგადოებამ აფთიაქს უკვე დაეპატრონა, თუმცა ძალიან გვიან. ვიქტორ ცენტერაძე.

ალაგირის ქართველები (თერგის ოლქი) ალაგირი მდებარეობს თერგის ოლქში, ქალაქ კავკავიდან 48 ვერსით არის დაშორებული. ამ სოფელში დღეს ცხოვრობენ რაჭიდან გადასახლებული ქართველები 275 კომლი. ამთაგანს საკუთარი სახლი და სამოსახლო ადგილი ნაყიდი საკუთრებათ აქვთ 220 კომლს, მომეტებულ მათგანს ორსართულიანი ქვიტკირის სახლები აქვთ, დანარჩენი 55 კომლი სცხოვრობს დაქირავებულ სახლებში. ალაგირში ქართველებმა რაჭაში მიწის სიმცირის გამო დაიწყეს გადასახლება 1880 წლებში. პირველათ გადასახლდა 30 კომლი გლეხი. ალაგირში ძალიან კარგი ნიადაგია მოსავლისთვის. როდესაც ეს 30 კომლი მოეწყვენ კარგათ, მათი მიხედვით დაიწყეს გადმოსახლება და დღეს, როგორც ზევით მოგახსენეთ, ალაგირში ცხოვრობს 275 კომლი, თითქმის 1700 სული და ძალიან კარგათაც არიან მოწყობილნი, კარგათაც ცხოვრობენ. მხოლოდ ძალიან აწუხებენ მეზობელი ოსები, რომელნიც სიტყვით ჩვენი არიან და საქმით მარტო თავიანთ თავი ახსოვთ. ალაგირის ქართველებს საკუთრება არ გააჩნიათ, არც ერთი დესეტინა მიწა სახნავ-სათესი. იოლათ მიდიოდენ საქირაო სახაზინო მიწებით და ბოლო წლებში ფასებმა ისე იმატეს, რომ დესეტინა 30—40 მ. ფასობდა წელიწადში, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყვნენ ალაგირის ქართველები, რადგანაც მოსავალი კარგი მოდიოდა. რევოლიუციის შემდეგ თავისუფალი ადგილები დაიჭირეს ოსებმა და ქართველები დარჩნენ უმიწო წყლოთ, რადგანაც იჯარით მიწას არავინ იძლევა. ალაგირის ქართველები თითქმის 20 წელიწადზე მეტი იყვნენ მოკლებული კულტურულ დაწესებულებებს. მხოლოდ 1899 წ. ტიტე კახიძეს თაოსნობით და მეცადინეობით გაიხსნა ალაგირში სასწავლებელი, რომელსაც დიდი ნაყოფი არ მოუტანია საზოგადოებისთვის, რადგანაც სასწავლებელი იყო მოთავსებული დაქირავებულს სახლში და თითქმის ყოველს წელს ახალი ბინა უნდა ეძებნათ. 1913 წელს კი ერთხმად გამოითქვა საზოგადოებაში სურვილი, რომ საკუთარი სასწავლებელი აეშენებიათ. კიდევაც მოიყვანეს სისრულეში თავიანთი დადგენილება და დღეს ალაგირის ქართველებს აქვთ საკუთარი სასწავლებელი, სადაც ზოგჯერ წარმოდგენებიც იმართება ქართულ ენაზე. ამ დარბაზით სარგებლობენ ჩვენი მეზობელი რუსები და ოსებიც, რადგანაც ალაგირში სხვა დარბაზი არ არის. ალაგირში ალაგირის ქართველებმა ეროვნული თვისება და ხასიათი შეინარჩუნეს და არ გაითქვიფნენ სხვა ეროვნებაში. 38 წლის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ მათ ქალი მიეთხოვებინათ სხვა ტომისთვის. არც მამაკაცები თხოულობენ სხვა ტომის ქალებს. ალაგირის ქართველები სამშობლოს მოშორებულნი არიან, მაგრამ სულით და გულით კი საქართველოსთან არიან.

ილია ლომჯანიძე.

# ანგარიში

მე 6 რაიონულ სოც.-დ. კოლექტივისა, დღიდან დაარსებისა (19 სექტემბრისა 1917 წ. პირველ იანვრამდე 1918 წლისა).

შემოსავალი: 1) მე-4 რაიონულ კოლექტივისაგან გამოყოფის დროს 188 მ. 47 კ; 2) პარტიულ გაზეთების ხელისმომწერლებისაგან პირველ იანვრამდე 825 მ. 28 კ; 3) პარტიულ გაზეთების ფონდის გასაძლიერებლათ მე-5 სამილიციო უბნის მცირე კოლექტივის მიერ შეგროვილი 220 მ.; 4) სესხათ აღებული ამხ. ვ. ალიხანოვის და პ. კახიძისაგან 143 მ. 60 კ.; 5) „ფაიქრის“ რედაქციისაგან თავის საკუთარ ხელის-მომწერლებისთვის გაზეთის მიტანის საფასით ნოემბერში და დეკემბერში 120 მ; 6) საწევრო გადასახად საგან პირველ იანვრამდე 400 მ.; 7) საწევრო ერთდროულ გადასახად საგან 65 მ.; 8) საკომისიოთ წამოღებულ წიგნების გაყიდვისაგან მთელი ჯამი 180 მ. 47 კ.; 9) საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ შემოწირულება, რის ანგარიში ცალკე იყო დაბეჭდილი, 2964 მ. 82 კ., სულ 5107 მან. 64 კ. სესხად კოლ. მდივნისაგან 172 მ. 9 კ, მთელი ჯამი 5279 მ. 73 კ.

გასავალი: 1) მდივნის ჯამაგირი 22 სექტემბრიდან 590 მ; 2) მცირე კოლექტივების ხარჯები 368 მ. 80 კ.; 3) პარტიულ გაზეთების გასავრცელებელი ხარჯები (რედაქციებს, გაზეთის დამტარებელს) 753 მ. 49 კ.; 4) ვალში ვ. ალიხანოვს და პ. კახიძეს 143 მ. 60 კ; 5) წვრილმანი ხარჯები საბუთებით, საკანცელარიო, განათების, მუშის და სხვების, გასამართლებ. საბუთებით 164 მ. 47 კ.; 6) ინსპექციის „სტოროჟს“ 25 მ.; 7) საკომისიოთ წამოღებულ წიგნების პატრონთ (საოლქო კომიტეტს, „განათლებას“ და სხვას) გაყიდულ წიგნების ანგარიშში 140 მ.; 8) თფილისის კომიტეტის მომავალ წლის საწევრო წიგნების დასაკვეთად 100 მ.; 9) საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ თფილისის კომიტეტს 2964 მ. 82 კ.; 10) გაზეთის ხელის მომწერლებზე დარჩა პირველ იანვრამდე 29 მ. 55 კ, სულ 5279 მ. 73 კ.

სარევიზიო კომ. წევრი ირ. შანიძე.
კოლექტივის მდივანი მ. ნაკაიძე.

# განცხადებანი

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. და ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიდუბე) № 6. ტელეფ. 1—04.

ექიმი
**გ. გოლდშტეინი**
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

**ექ. ქალი რ. ბ. შიშლო-ხაბაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი
**[illegible]**
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებით [illegible] საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

**კბილის საექიმო კაბინეტები**
**თედორე საყვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელ. წიგნ. ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

ექიმი **დ. ჯავახიშვილი**
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს. ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

**რენგტენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენგტენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. ვ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენგტენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენგტენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოთერაპია გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექების ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

**მედიცინის დოქტორი**
ბერლინის უნივერსიტეტისა
**გ. გ. მეგრაბიანცი**
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**ძ. ხ ო ნ ი.**
ექიმი სპირიდონ დიმ. ჯალაღანია. იღებს ავათმყოფთ დილის 9—12 ს.-მდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთ. სახლი.

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ლებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

ექიმი
**ა. ნ. შატილოვი**
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სემიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს [illegible] ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57; [illegible] ტელ. № 5—77.

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65

# მატარებლების №№ 1 და 2 მიმოსვლის სია

გზათა სამინისტრო აცხადებს, რომ ამ ჟამად მოძრაობაში მყოფი ორი წყვილი სამგზავრო მატარებლები უზომო დატვირთულობისა გამო და აგრეთვე იმიტომაც, რომ მიეცეს მგზავრებს შელავათი მოგზაურობის დროს, 29 ოქტომბრიდან თფილისსა და ფოთს შუა დაიწყებს მიმოსვლას ერთი წყვილი ჩქარი მატარებლისა №№ 1 და 2 დანომრულ დასაჯდომ ადგილებით. საჯდომ პლაცკარტებს, ურომლისოდ მგზავრებს არ შეუშვებენ მატარებლებში, მიიღებენ კასებში ბილეთებთან ერთად, რაშიაც გადაახდევინებენ სამგზავრო ფასსზე დამატებით ოც ოც მანეთს ადგილზე კლასების განურჩევლად. მოხსენებული მატარებელი ივლის შემდეგი წესით:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მატარებელი № 1 | გადის თფილისიდან | 17 საათზე | და | 42 წ. |
| | მოდის ფოთში . . . | 6 „ | „ | 22 „ |
| მატარებელი № 2 | გამოდის ფოთიდან | 20 „ | „ | 20 „ |
| | მოდის თფილისში . | 8 „ | „ | 57 „ |

(თფილისის დროთი).

მატარებლები №№ 1 და 2 გაჩერდება მხოლოდ დიდრონ სადგურებზე და აგრეთვე სხვა დანარჩენ სადგურებზედაც, სადაც ტეხნიკურის მხრივ საჭირო იქნება.

# გურიის დამხმარე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ის ახლო მომავალში მოახდენს ლიკვიდაციას თავის მოქმედებისას და ის პირნი, რომელნიც დღემდე მსახურობენ საექიმო რაზმში 1 იანვრიდან განთავისუფლებულნი იქნებიან. ამასთან ერთად აცხადებს—ახალ საექიმო პუნქტს არსად ხსნის და ვინც თავის სურვილით თავს დაანებებს სამსახურს მათ ადგილას არავის ნიშნავს.

გურიის დამხმარე კომიტეტი.